თვალის დახამხამებაზედ კოსტამ თრი წიგნი ციხისაკენ ისროლა: ერთი ვოვის მოპევდა ზერგში და დალრეჯილი წაიქცა, მეორე კედელზედ მიკრულს დროშასა. დროშა ჩამოეარდა.

— ურა, ურა! დაიწყეს ბავშვებმა ღრიალი... დაჭირეს დოლის და საყვირის დაკვრით მორთეს ერთი ღრიან ცელი; თან ხტოდნენ და პროწიალებლნენ ოთახში და დაუნდობლადა სთელავდნენ თავიანთს დამტვრეულ-დამახინჯებულს კალის ჯარის-კაცებსა.

გაცხარებული და უცნაური ზარის ხმა მოისმა ცარიცას დერეფანშია.

ბავშვები შეკრონენ, გაჩუმდნენ.

მეორედ დაუკრეს ზარი... ვიღაცამ დერეფანში გაირბია, კარი გაალო...

ნადიას ჩქარი ფეხის ხმაც შემოესმათ... ვიღაცა უცნაბის, ბოხი ხმაცა... ნადიამ დაიწიელა...

ალელვებულის გულის ფანცალით გავარდა ვოვა და შემოსავალს კარებს ეტაკა.

ვლასიერნა და პრასკოვია მხრებში უდგნენ ეგზაფილი რებულსა და გულშეწუხებულს ნადიასა... ყურთამიდე—ზის ყაცე რებილგან ოთხს ჯარის კაცს შემოჰყავდა პოდპოლკოვნიკი... მუქი, თითქმის მოშავო სისხლი სწვეთავდა თეთრად შეხვეულ თავიდამა...

დადგა გრძელი, მოსაწყენი ბინდ-ბურდი; ღამე უფრო მოუსევნარი და გრძელი იყო. ცუდი დარი იდგა. ქარი გა-აფორებული აჯახუნებდა ფანჯრების შუშებსა, დარაბებსა და შეუბრალებლად ჰლუნავდა ჯერ კიდევ გაუმაგრებელს ნორჩს ხეებსა. ქუჩები ისე იყო ბნელით მოცული, გვევინებოდათ უდაბნოათ, ჰაერიც შავი მელნის ზლვათ გადაქცეულიყო... ოდნავ-ღა ბეუტავდნენ აქა-იქ ჰატარია ფარინები და სცდილობდნენ ვითომ არ დაქმორჩილებოდნენ შავი მელნის ტალღებსა... მაგრამ აშოთდა... დიდს მდიდრულს სახლში კაცი შიშა და მოუსევნრობასა ჰგრძნობდა, აგრეთვე ეზოშიაც...

დედის ჩუმად ფრთხილიადა და შიშით შეიპარა ვოდა სამზარეულოში. ელასიერნა, პრასკოვია და სხვ მოსამსახურეები ზედ გადააკედნენ, მაგრამ უკან იღარ დაბრუნდა ოთახში. ბავშვი საშინელმა ცნობისმოყვარეობამ გაიტაცა, თითქოს ბუნდად იყო მიხვედრილი, რომ დედა და გამდევი რაღაცას უშალავდნენ... სამზარეულოში თუჯის ჰატარია ლამპარი ენთო, რომელიც ოდნავ ბეუტავდა და საშინლად ბოლავდა; შეხუთული მძიმე ჰაერი იდგა. შეულებავსა და ქუქიანს მაგიდაზედ სამოვარი იდგა; გარს შემოსხდომოდნენ: გამდელი, მზარეული-ქალი, „დენშინიკი“-მაკარი, შეეტლე და თბილი ჯარის-კაცი. ყველა იქ მყოფის ყურადღება ჯარის-კაცებზე იყო მიქცეული. თბილ ბუხართან გრძელს სკამზედ გაწოლილი და-ქან ცულ-დალლილი ვოდა, ჯარის-კაცების ნალიპარაკევს სიტყვა-სიტყვითა ჰკრებდა.

— აფერ, კიდევ მიუხასლოვდით,—უამბობდა წითელ-ლო-ყება, მოსული, ჯმუხი, ეტყობოდა, სოფლიდგან ახლად ჩამოსული ჯარის-კაცი. მივედით სრულის წესით.—ისინი ვვიც-

ქერიან, ზოგი-კი დაგვცინიან კიდეც... ერთი წინ ჭამილგა
და გვითხრა: „ნუ-თუ გვესვრით და ძმის მკლელებით და შო
ლალატენი შეიქმნებით?“ პოდპოლკოვნიქმა გაატრანსილა, რომ
დაშლილიყვნენ. არ დაიშალნენ.—გეუბნებით, დაიშალენით-
მეთქი, ცოდვას ნუ შემამთხვევთ, თორემ ცუდად გათავდება
საქმე! გაუმეორა ჩამდენჯერმე პოდპოლკოვნიქმა, მაგრამ
არამც თუ დაიშალნენ, იყვირეს და უფრო წინ მოიწიეს ჩვენ-
ზედა... რაღა დაგვერჩინოდა, უნდა გვესროლა. პირველად ჰა-
ერში ვისროლეთ. მეორედ-კი დაეუშინეთ პირდაპირ... იმათ
ქვები დაგვაყარეს, პოდპოლკოვნიქს თავი გაუხეთქეს... თვი-
თონ-კი გაიქცნენ... ჩვენც უკან გამოუყდექით, ვესროდით
და ვესროდით... მირჩიან და ცვივიან; ზოგი ისევა დგება,
ზოგი-კი ისევ იქცევა და ცელარა დგება. ვნახოთ, ყველა გა-
იქცა. ჩამოეხტით ცხენებიდგანა, დაქრილები დეკრიტეთ. სჩან-
და, ყოჩილად გვემიზნა: ოცდა-ექვსი მკვდარი დავთვალეთ,
ყველა მიწიზედ ელაგა, მიწა წითლად შელებილიყო, ყაველ
მკვდართან სისხლის გუბენები იდგა... ორი ისევა კუნძოდა...
ფეხები და ხელები გაშელართული ჰქონდათ... ზაგს დამხრჩე-
ლივით თვალები გადმომხრუნებოდა... ამ დროს სწორედ სა-
ნიტრების ეტლებიც მოვიდა... ყველანი აპრილეს... ერთი
გადარჩია ცოცხალი... ჭრილობა ორსავე ფეხში ჰქონდა, მაგ-
რამ სუბუქი, სისხლი-კი ბლობად სდენოდა... ტანში ერუან-
ტელმა დამიარა... კაცო, განა, დღვილი სახახეია?.. ძალის
სისხლი ხომ არ იყო, კაცისა იყო... ყვითელი მიწა სისხლი.
საგან ალისფრად შეიღება...

შეა ლამე მოტანებულია.

ბავშვის ოთახში, ხატთან, ზეთი ანთია. ოთახი ნახევრად
დაბნელებულია; სიჩუმე და მოწყენილობაა.

სიჩუმე და მოწყენილობა იყო ამ ებმად მდიდარს სახლ-
შიაც გამოუყებული; ხანდახან მხოლოდ დერეფანში თუ გაივ-
ლიდა ვინმე ფეხ-აკრებით. იშვიათად ჩუმი კვნესა მოისმოდა;
კვნესა ბოლოს თანდათან იკლებდა, ისევ სრული სიჩუმე მყარ-
დებოდა...

ლოგინში მწოლარე ვოვა კვნესას ერთ-თავად ყურადღება და დებდა; იცოდა, მამა კვნესოდა... როგორლაც შიში შეეძლოდა ფიქრში წაიღო: ვაი, რომ მამა მოუკვდეს, წაიღონ და დაა-საფლავონ; ის და დედა ხომ სულ მარტოდ-მარტო დარჩე-ბიან... ჯარის-კაცებმა მასთან ყოველისფერი ილაპარაკეს, მაგრამ მიხეჭი მაინც ვერ გამოერკევი ვოვასა, რისთვის დას-კრეს იმისი მამა. ვოვა ახლაც იგონებდა იმათს ნალაპარა-კესა და სწუხდა. შეებრალა: მამაც, თავ-გატეხილი და გა-სისხლიანებული და მუშებიც. სროლის შემდეგ ბევრი მუშა დაეცა მიწაზედაო. ყვითელი მიწა წითლიდ შეიღება სისხლი-სგანაო... ყვითელი იყო და წითელი განდაო... წითელი...

დერეფანში ნადიამა და ექიმშა გაიარეს. გაიგონა ვოვამ, რა უთხრა ექიმს დედამა:

— უსათუოდ მოველით დილით, ექიმო, არ დაივიწყოთ!..

— არა, როგორ დამავიწყდება. თქვენ მოსვენებით დაი-ძინეთ ამაღამა; გაძლევთ სიტყვასა, პოლპოლკონის არა და-უშავდება-რა... მშეიღობით!

— მშეიღობით!

კარმა დაიჯახუნა, დერეფნიდან დედის ფეხის ხმა შემო-ესმა ისევ ვოვასა.

— დედა! — გასძიხა ვოვამ.

შეეიდა დედა, მივიღა ვოვასთან, აკოცა.

გაფითრებული, ნამტირალევე სახე ჰქონდა, თვალები და პატარა ტუჩები აღერსით ულიმოდა.


— დაიძინე, გერაცვა, ვოვა, მე აქ, შენთან ვიჯდები... გინდა, ზღაპარს გეტუვი?

ვოვამ უარის ნიშნად თავი გააქნია, საჩქაროდ დაუწყო ჩუმად კითხვა:

— მამა ხომ არ მოკვდება?

— არა, ჩემო სიცოცხლევ, არა, ხეალ სულ კარგად იქნება.

დედამ საბანი გაუსწორა, ბალიში მაღლა აუწია. ვოვამ თვალები დახუჭა, ჩისთვლიმა მაგრამ იმავ წამს თვალ-წინ ყვითელი მიწა და ზედ წითელი სისხლი წარმოუდგა...



ვოვა შეხტა...

ბავშვის ოთახი ისევ ნახევრად დაბნელებული მწყლია მესამე
ლურჯო შუქი კანდელისა იქა-იქ იატაქზედ, კედლებზედა და
კერძი ჩრდილის აყენებდა... ქარიც ისევა ზუზუნებდა და არა-
ხუნებდა ფანჯრებსა... ვოვას ნახევრად ახელიალი ჰქოდა თვა-
ლები, ბურანში იძახდა:

— დედა, მამაც მებრალება და გლეხებიც!

— რომელი გლეხები, შეილო?


— აის მუშები, რომ დაიხოცენ. დედა, არ შეიძლებო-
და არ ესროლავ? ყვითელი მიწა იმათის სისხლისაგან წით-
ლად შეღებილა...

გაჩუმდა ვოვა, თვალები მოხუჭა, ისევა სოვლებდა; ნა-
დია ნაზად ხელს უსეამდა თმებზედ, უალერსებდა:

— დაიძინე, გენაცვა, დაიძინე, ჩემო ბიჭიკო, ჩემო სი-
ხარულო! შეც იქ ვიქნები შენთანა...

გალერისებოდა და ძინებდა ნადია და რაღაცა ძლიერის
გრძნობით გატაცებული ბავშვს სიყვარულით დაპყრებდა.
ბოლოს თითქოს დაიძინა კიდევაცა... უცბად ვოვას ტირი-
ლი აუვარდა, ჯერ ნელ-ნელა ბოლოს თანდათან უმატა და
ლრიალით დედას კისერზედ ჩამოეყიდა:

— დედაჯან, დედი! — ეწონერულებოდა და თან ცრემლე-
ბი ახრიობდა. — მებრალებიან... საშინლად მებრალებიან!.. რად
დახოცეს? რად დაღვარეს იმათი სისხლი?.. აღარ მინდა სამ-
ხედრო კაცი ვიყო... და არც არავის მოვკლავ, არავის ვეს-
ვრი, დედაჯან!.. ცოცხალს ხალხს... როგორ ვესერი?.. ხომ
ეტკინებათ. რათა, რათა, დედი? არ შეიძლება, არავის მოვ-
კლავ...



უშმესნიერესი ვარდი ქვეყნისა.

(ანდრეასენილამ).



ლიკრისა და სახელგანთქმულ დედოფლის ბაღში ქვეყნის ყველა კუთხისა და დროის ყვავილები ხარობდნენ; განსაკუთრებით მრავლად იყო დედოფლის საყვარელი სხვა-და-სხვა ჯრების ვარდები, უბრალო ტყის ვარდიდამ მოყიდებული პროვენის უუმშევენიერეს ვარდამდე ყველა. სასახლის კედლები, სვეტები და ფანჯრები ვარდებით იყო მთლად დაბურული; სუნნელოვანი, შშვენიერი ვარდები იმკომლნენ თეთო დერეფნებსა და სასახლის ბრწყინვალე დარბაზებსა. რა საუცხოვო და საოცარი რამ იყო, რომ გენახათ, ეს სხვა-და-სხვა-ობა ვარდთა სუსნელოვნებისა, ფერისა და მოყვანილობისა დედოფლის ბაღ მი!

მაგრამ, ვაი, რომ თეთონ სასახლე მწუხარებას, ნაღველს მოეცვა: დედოფლალი სიკედილის პირად იდეა. მკურნალებს იმედი გარდაეწუვიტათ.

— დედოფლის განკურნვა,— სოქეა უბრძენესმა მკურნალთა შორის,— შეუძლიან მხოლოდ უუმშევენიერესს ვარდს ქვეყნისას, ნიშანს ზეციურ, წმიდა სიყვარულისას. განიკურნება დედოფალი, თუ ვპოვებთ როგორმე და თვალი დაპკრა, ვიღრე საბოლოოდ მოეხუჭებოდეს.

და იგრძა, დაიძრა მთელი ქვეყანა: დიდს თუ პატარას, ყველის მშვენიერი ვარდები მიძქონდა ივალმცოფ დედოფალთანა, მაგრამ არ სჩინდა მთ შორის ის, რომელსაც დედობალი უნდა განკურნა! სიყვარულის ბალში ჰარობდა იგი!

მაგრამ ჩა იყო ნიშანი ამ ზეციურ, წმიდა სიყვარულისა, არა კი გინ იცოდა?

სკანდინავიის ძველი შეოსნებიც ქვეყნის უუშევენიერესს ვარდს უმღეროდნენ მუდამა, მაგრამ ყველა თავისას აქებდა მხოლოდ. მოუხმეს მაშინ მთელის ქვეყნის ერს, ყველა წოდებისა და პასაკის ხალხსა,—ყველას, ვისაც-კი სიყვარულით უცემდა გული!

— არავის დაუსახელებია აქამდის მკურნალი ვარდი! — წირმოსთქვა ბრძენმა მკურნალმა. — არავის უჩენებია, სად ჰეთარობს იგი. ის არ არის, რასაკირელია, რომეოსა და ჯულიეტისა ან ვალბორგის*) სამარეზედ აღმოცენებული ვარდები, თუმცა ხალხის გაღმოცემასა და სიმღერებში მუდამ ჰყვავიან და სუნნელებასა ჰიცენენ არე-მარესა; არც სავშობლოსათვის თავდადებულ ვინ კელრიდის**) წმიდა სისალზედ აღმოცენებულა, თუმცა სამშობლოსათვის დანთხეულს სისხლსა და სიკედილზედ ტკბილი და წმიდა არა არის-რა! არც ის ვარდია ეს ვარდი, სიცოცხლით საესე ახალგაზრდა რომ უძილო ღამეებსა და მთელს წლებს მეტნიერების ჯალოვარ ვარდის აჰყვავებას ანდომებს!

— ვიცი სად ჰეთარობს! — შესძიხა აკადმიკოს დედოფალს ბელინიერმა დედამ, რომელსაც ხელი პაწია ბავშვი ექირი, — უუშევენიერესია იგი, ნიშანი ზეციურ, წმიდა სიყვარულისა. იგერა, ჩემის პაწიას ლოცებზედ ჰეთარობს, გამოძინებულია რომ

*) ელენშლევერის ტრავედიის „აქსელი და ვალბორგა“-ს გმირი-ქალია, რომლის შინაარსიც უუძველეს ხალხურ სიმღერიდამ არის აუგვა-ლი და „აქსელისა და ვალბორგა“ უბედურს სიყვარულს მოგვითხრობს. მთარგმნ. შენ.

**) ვინ კელრიდი შეეიცარელი სახალხო გმირია, რომელმაც 1886 წ. ლეოპოლდ ავსტრიელთან ბრძოლის დროს მტრის გასარღვევად ხელი სტაცია რამდენსამე შებს ერთადა, გულში ჩაიკა და დაეცა მცვდარი, რემ თავისიანებისათვის გხა გაერღვია. სტაციში (უნტერვალდენის კანტონში) ძეგლი დაუდგის ვინ კელრიდს.

მთარგმნ. შენიშვნა.

წამოდგება, წითლადა ჰლევის და მხიარულს თვალებს სიყვარული შემომანათებს ხოლმე!

— მშევნიერია ეგ ვარდი, — მიუგო ბრძენმა, — მაგრამ უშვილესი სხვა არის კიდევ!

— ბევრად უშვევნიერესიც! — ჩამოართვა სიტყვა შეუარე მანდილოსანმა. — თვითონ მინახავს. ლვთაებრივი იყო, შეუდარებელი, მაგრამ მკრთალი, კით ფოთოლი ჩის ვარდისა. დედოფლის ლოყებზედ შევნიშნე იგი: მოეხადა სამეფო გვირგვინი და მთელი ღამე ავადმყოფს ბავშვს დასტიროდა, თავს ევლებოდა, პულნიდა და მხურეალედ ევედრებოდა შემომქმედს, რომ შეება მიენიჭებინა, — ისე, როგორც ჭირფასი ბავშვის სიყვარული ჩასძიებს ხოლმე დედასა, სიკვდილის შიში რომა აქვს.

— ლვთაებრივია თეთრი ვარდი მწუხარებისა და მძლავრი იმისი გაელენა, მაგრამ მიინც იგი არ არის ეს ვარდი! — გაიმეორა ბრძენმა.

— მე მინახავს იგი, უუმშვევნიერესი ვარდი ქვეყნისა, მინახავს საკურთხევლის წინაშე! — დაიწყო სათნოებით აღსავსე მოხუცმა ეპისკოპოსმა. — ანგელოსიყით ბრწყინვდა იგი. საზიარებლად გამზადებულ ქალწულთა ნორჩის ლოყებზედ ჰყავოდა იგი თეთრად და წითლად. და, ჰა, სდგა ქალწული ვანმე, რომლის მხურეალე ლოცვაც ზესთა სიწმილითა და სიკვარულით იყო აღსავს.

— კურთხეულია, მამაო, ყვავილი იგი, — შეწინაშე ბრძენმა, — მაგრამ უუმშვევნიერესი ვარდი ქვეყნისა მიინც ვერავინ დაასახელო!

უცემ ოთახში დედოფლის პატარია ვაემა შემოიჩინა: თვალები ცრემლით აპესოდა, ლოყები მთლად დაპსველებოდა. ხელში ბავშვს ხავერდის ყდიანი და ვერცხლის ბალთებიანი ვეება გაშლილი წიგნი ეჭირა.

— დედაჯან, დედი! — შესძიხა ბავშვმა. — ყური დაუგდე, რა სწერია აქ!


და ავადმყოფს დედას გვერდით მიუჯდა, აღტაცებით

დაუწყო კითხვა, — როგორ იღვა თავს ხალხის სახსნელად
ჯვარცმა, სიკედილი, ნებაყოფლობით ხალხისავ შეკუმშა! —
— აი, ნამდვილი სიყვარული, წმიდა, სპერაკი! — შეს-
ძხა აღტაცებით ბრძნება.

დედოფლის ლოყები დაუწიოთლდა, თვალები გაუბრწყინ-
და და დაინახა აკერ, რომ წიგნის ძვირფას ფურცლებიდამ
უცემ უუმშევენიერები ვარდი ქვეყნისა აღმოცენდა, მზგავსი
იშისა, რომელმაც ქრისტეს მიერ გოლგოთაზედ დინთხეულის
სისხლზედ იხარა!

— ვხედავ, ვხედავ! — წარმოსთქვა დედოფლმა, — უკვ-
დავია, დიახ, სამუდამოდ, ვინც ქვეყნისათვის თავდადებისა და
თავვანწირების უუმშევენიერები იხილა ვარდი!

ინ-ანი.





კუზებო გარიბალდი, იტალიის გამათავისუფლებელი.

(ლასასრული).



ცელა წარჩინებულნი პირნი, მუშები, მოქალაქენი, რომელნიც რაიმე მიზეზის გამო საშიშრად მიაჩნდა ბიქტორ ემიანუელს და რომელთაც საშშობლოში ცხოვრება იყრიძალული ჰქონდათ, ლონდონში (საერთოდ ინგლისში)

გაიხიზნენ და იქიდგან, როგორც შეეძლოთ, ხელს უწყობდნენ საშშობლოს გათავისუფლებას. საშშობლოდან განდევნილები დიდი ამბით შეეგებნენ თავის წინამდობლს და თვითეული მათგანი სკდილობდა გამოეთქვა მისთვის თავისი სიყვარული და განუსახლერელი პატივის ცემა. ისინი მიეგებნენ თავის მხსნელს როგორც მეფეს. ისეთშა გულ-გრილშა ხალხმაც-კი, როგორიც არიან ინგლისელები—შვეიცარ პატრიოტიზმით გამსკევალული სიტყვებით მიმართეს იტალიის გამათავისუფლებელს; გარიბალდის ჩასელის სადღესასწაულოდ იმართებოდა ათას-გვარი გვიაროთობი სადამოება და სადილები; მის სრულ განკარგულებაში იყო წარჩინებულ ლორდთა სასახლეები. გარიბალდის ინგლისში მოგზაურობა წარმოადგენდა დღესასწაულს ძმობისა და ერთობისას, ისეთ ხალხთა შორის, როგორც იტალიელი და ინგლისელი არიან.

1866 წელს პრუსიაშ აუსტრიის ოში გამოუტარდა. იტალიამაც იშოვნა დრო და მოინდობა ვენეციია ბუსტრიიელთაგან დაეხსნა. გარიბალდი მეფისაგან დაუყონებლივ იქნა მოწვეული. მას ჯარის წინამდობლისა მიანდევს. მან უკვე თა-

ეისი სამხედრო საქმის ცოდნის და გამჭრიახობის წყალობით
დაიკირა მთელი ტიროლი, და ფიქრობდა იტალიისათვის არა არა
თუ ვენეცია, არამედ აღრიატიკული ზღვის მთელი ჩრდი-
ლოეთი ნაარჩი *) დაეპრუნებინა. მაგრამ ასეთ გამარჯვების
შემდეგ, აუსტრიელთა ზედიშედ დამორცების შემდეგ მან
შილო ბრძანება ტიროლი დაეცალა, რადგან კოროლს აუს-
ტრიელებთან შშეიღობიანობა ჩამოეგდო. გარიბალდი ისე
გამრაზდა ასეთ ბრძანებაზე, რომ თავის სხილი შეუაშე გასტეხა
და იქით ისროლა, მაგრამ მაინც იძულებული იყო კოროლის
ბრძანებას დამორჩილებოდა. იმის და-მიუხედავად ვენეცია
მაინც გათავისუფლდა და დანარჩენ შეერთებულ, თავისუფალ
იტალიის შეუერთდა.

ესლა მხოლოდ ის-ლა რჩებოდა გარიბალდის, რომ მას-
თან ერთად ძველთა ძველი ქალაქი რომიც შეერთებინა. მა-
გრამ კოროლი ყურს არ უგდებდა გარიბალდის რჩევას; არც
თვითონ ჩქარობდა და არც ჯუზეპის აძლევდა ნებას ეს ქა-
ლაქი მისი საშუალებებით აეღო. არც იმას დასჯერდა კო-
როლი და იმ გმირის სათვალყუროდ კაპერას ნაეთ-სადგურ-
ში *) სამხედრო გემი გაგზავნა. მაგრამ ასეთმა ზომებმა ვერ
შეაკრთო გარიბალდი; მას არ ძალუდა მოესვენა, სანამ მისთვის
და ყოველ იტალიელისათვის ძეირფისი სამშობლო საბოლოოდ
არ შეერთდებოდა ერთ თავისუფალ სახელმწიფოდ... მისმა მე-
გობრებმა ისევ მისი მეთაურობით შეადგინეს მეომართა რაზ-
მი, რომლის წინამძლოლობა, რასაკვირველია, გარიბალდის
შიანდეს. ის დარაჯ გემის შეუმნიერებლად ჩაჯდა ერთ პატარა
ნავში და შეუმნიერებლად მიადგა ერთ კუნძულს, სადაც მისი
კარგი ნაცნობი ინგლისელი ქალი სცხოვრებდა. იმ კუნძულ-
ზე გარიბალდი ერთ ლამეს დარჩა და მეორე დღეს, დილის
ალიონით, იტალიისაკენ გასწია. ჩავიდა იტალიაში და თავის
რაზმის წინამძლოლობას შეუდგა, მაგრამ აქ მის წმიდა მის-

*) ამ კუნძულზე მხოლოდ ერთი გვარიანი ნაეთ-სადგური იყო. და-
ნარჩენი ნაპირები-კი მაღალ სიპ-კლდეებს წარმოადგენდნენ.



წრაფებას კიდევ განსაცდელი გაღიაელობა.

როგორც გაიგო პაპიმ, რომ გარიბალდის ჩატანაშეცვალ
აქვს რომის *) აღებისა, მაშინვე შეკრიბა ჯარი; მაგრამ რაღვან
მისი ჯარი ვერც გამოცდილებით და ვერც სითამაშით გარი
ბალდისას ვერ შეედრებოდა, ამისათვის მან საფრანგეთს სოხო-
ვა შემწეობა. საფრანგეთიც, რასაცეირველია დიდი სიამოვ-
ნებით მიეკება პაპის თხოვნას და იტალიაში „პაპის სამფლო-
ბელოს“ დასაცველად დიდი ჯარი გაგზავნა. ამით შემონე-
ბულმა კოროლმა გარიბალდის უბრძანა რომისათვის თავი
დაენებებინა და უკან დაბრუნებულიყო. გარიბალდი ეხლაც
იძულებული იყო ბრძანებას დამორჩილებულიყო. ესეც არ
ეყო სულმოკლე, მაგრამ აშასთანავე პიტრიოტს, კოროლს;
მან გასცა ბრძანება გარიბალდის დატუვევებისა და კიდევ მო-
იყვანა სისრულეში ეს ბრძანება; გადასცდა თუ არა გარიბალ-
დი „პაპის სამფლობელოს“ სახლებას, ის მაშინვე დაატუვევა
პოლიციამ, რომელიც იქ მას თავის კოროლის ბრძანებით
უდიარაჯებდა. გარიბალდის არ შეეძლო წირმოედგინა, თუ ასეთ
შეურაცხყოფის მას ბიქტრა-ეშმანულის ბრძანებით აყენებ-
დნენ, და ამის გამო არ დაემორჩილა პოლიციის ბრძანებას.
მაშინ საზიზარი, დაუჯერებელი რამ ჩიდოინეს პოლიციე-
ლებმა: დასცეს მიწაზე მოხუცებული გარიბალდი, რომელსაც
მოელი იტალია აღმერთებდა და ბაწრით შეკრეს. აი, მგვა-
რად დააპატიმრეს სახელ-განთქმული იტალიის გამათავისუფ-
ლებელი და ქალაქ სპეციის ახლოს ციხეში ჩამწყედიეს. პო-
ლიციელთ სურდათ, რომ სპეციელელებს არა გაეგოთ-რა გა-
რიბალდის მათვან მიყენებული შეურაცხყოფისა, მაგრამ ვერა
გააწყვეს-რა. სპეციელებმა ძლიერ აღრე ვიგვეს ცველაფერი
და რკინის გზის სადგურს ალყა შემოარტყეს: ის ჯარის კიც-
ნი, რომელთაც დატუვევებული გარიბალდი მიჰყავდათ, ხალ-

რომი თავისი მაზრით, რომელიც 5,000 კვ. მილს შეადგენდა პაპის
ეკუთვნოდა. ამისათვის ამ მხარეს „პაპის სამფლობელო“ დაარქეს.

მთარგ. შენიშვნა.

ხმა შეიპყრო და დააპატიმრა. ამის შემდეგ რაღაც არა ჩეკეულებრივი ამბავი მოხდა: სიხარულით აღფოთოვანებულმა ზალიშხა გარიბალდის ეტლიდან ცხენები გამოსხინა, მათ მაგიერ თვითონ შეება და ამ რიგათ, „გაუმარჯოს გარიბალდის!“ ყვირილით თავისი გმირი საუკეთესო სასტუმროში წაიყვანა, სადაც მისთვის ბინა იყო მოშადებული. გარიბალდი ძლიერ დალალული იყო და გათენებამდის სულ ეძინა. გათენებისას აფიციურებმა, რომელთაც გარიბალდი დააპატიმრეს, ისარგებლეს მით, რომ ხალხი სასტუმროს მოშორდა და გარიბალდი ჩიქმად ციხეში წაიყვანეს. თითქმის ერთი თვე ყავდათ ეს გმირი დატუსალებული. მთელი იტალია, მთელი ევროპა აღშეფათებული იყო ასეთი თავხედობით იმ კაცისადმი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს და მის შეილთ შესწირა.

ციხიდან გათავისუფლებული გარიბალდი პირ-და-პირ თავის კუნძულს კაპრეჩაზე დაბრუნდა. ის ისე გულ-კეთილად ექცეული და იხსენიებდა ყველას, თავის მტრებსაც-კი, რომ, გვევლებოდათ, მისთვის არავითარი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათო. მას არ ძალად ფიქრო, თუნდა თავის მოსისხლე მტრის შური ეძია, რადგან მას ნებას არ აძლევდა მისი სულ-გრძელობა და პატიოსნება.

სხვა რამ უყოფდა და უწამლავდა სიცოცხლეს: მას წიაროვეს ყოველნაირი საშუალება, რომლის წყალობით შეეძლო თავის სამშობლო შეერთებინა და გაეთავისუფლებინა მტრარეალთა კლანებისაგან. მთელი პაპის პროვინცია ჯერ კიდევ ცალკე სამფლობელოს შეადგინდა, საღაც პაპი თავისუფლად დაფარფაშობდა და ისედაც გაღატატეკებულ და დაჩაგრულ ხალხს სისხლსა სწორედა. მას ილარი პქონდა არავითარი ძალა დაეხსნა ეს სამფლობელო პაპის კლანებისაგან და დანარჩენ იტალიასთან შეერთებინა.

მაგრამ ვერც ჯიგრმა, ვერც კრილობებმა, ვერც სიბერემ ვერ გარდავქმნეს გარიბალდის ბუნება; მას არ შეეძლო გულ-გრილად ეცემორა თავის მოძმის უბედურებისათვის.

1871 წელს პრუსიამ საფრანგეთს ომი გამოუტაღა.

საფრანგეთშა ვერ შესძლო პრუსიელების დამარტინება, რადგან შეერთებული გერმანია ძლიერ მძღვანელო იყო, მან—შემოასივა საფრანგეთს 500,000 ჯარის კაცი, რომელნიც სამ არმიას შეადგენდნენ. ფრანგებს—კი მხოლოდ 250,000 ჯარის კაცამდე ჰყავდათ. ამის გარდა მათ არც კაი ლენცრლები და არც პატიოსანი შმართველნი ჰყავდათ.

პრუსიელთა ჯარი ერთი-შეორეზედ იღებდა საფრანგეთის სიმაგრებს; დამშეცელნი, ძონდებშივამოხვეულნი ფრანგთა ჯარის კაცნი სასოწარკვეთილებით სულ უკან-უკან იწევდნენ. ამ გაქირვების დროს ფრანგებმა გადასწუვიტეს გაენადგურებინათ თვითმშერობელობა და მისი წარმომადგენელი, მეუე, რომელიც მხოლოდ თავის ჯიბის შემსებაზე და თავის მუქთა-მკამელ ნათეხსავებზე ზრუნავდა. მას არ იწუბებდა ხალხის ასეთი გაქირვებული შდგომარეობა; ხაზინა მოლად გაცარიელდა ის—კი თავის მინისტრებს და ლაქულა “დიდებულებს” მილიონებით უნიშნავდა ჯამავირს. ასრე იქცეოდა მეუე, როდესაც საფრანგეთისთვის თვითული გროშიც—კი საქირო იყო. აი, ყველა ამის გამო ფრანგებმა ჩამოაგდეს ტახტიდან მუქთა-მკამელი მტარვალი და საფრანგეთი რესპუბლიკად გამოიცხადეს*), რომ საერთო ძალით სამშობლოსათვის რაიმე ეშველათ...

*1) თუ რა რიგად იქცეოდა მეუე ამ გაქირვების დროს და როგორ დაუსჯელდა ფლანგელი სახელმწიფო ფულებს, შევიძლიანთ წარმოიდგინოთ შემდეგი სიის წყალობით, რომელიც რეეოლიუციის შემდეგ იქმნა გამოქვეყნებული. აი, ამ სიის მოკლე შინაარსი, რომელიც მხოლოდ სახელმწიფო ხარჯთალრიცხვს შეეხება:

მოხელეებს წელიწადში მთელი შემოსავლის $\frac{1}{7}$, წილი მიაქვს; მეუეს—კი მარტო— $\frac{1}{5}$. (ეს წილი მხოლოდ ფორმალურად იყო აღნიშნული ისე—კი მას და მის შეიღებს შეეძლოთ ეხარჯათ, რამდენიც სურდათ). სამეფო სანადირო ტყვები 100,000 ქცევიდან შესდგებოდა; სასახლეში 15,000 მუქთამკამელი ჰყავდა მეუეს და მხოლოდ მათზე წელიწადში ორ-მოცი მილიონი მანეთი იხარჯებოდა; 18 გენერალ-გუბერნატორს წელიწადში 1,960,000 მან. ეძლეოდათ; 21 გენერალს—1,260,000 მან.; 114 შეპერნატორს—2,736,000 მან.; 131 არქი-ეპისკოპოზეს—14,000,000 მა-

გაიგო გარიბალდიმ თუ არა საფრანგეთის ასეთი მდგრადი მარება, მაშინვე იქით გაეტურა, რომ ეგებ ცატოლიშვილი მაინც მოხშირებოდა ფრანგებს თავისი სამხედრო საქმის კოდნით და გამოცდილებით. მან აპარივა საფრანგეთს ყველა თავისი შეურაცხყოფა და ქრისტობები, რომელიც მან საფრანგეთის თვითმშეცვრობელის დაერინებით მიიღო; ამ სულგრძელება და კეთილმა მოხუცმა თავის დედა ქალაქის წართმევაც-კი აპარივა მას. მან პირველად გაუწევდინა საფრანგეთს ხელი, შეურთდა მის ჯარს, სადაც ოშის გათავებამდინ დარჩა.

ეხლა-კი განხორციელდა გარიბალდის ოცნებები. ნაპოლეონი აღარ იყო საფრანგეთის ხელმწიფოელ. როგორც-იყო გაბედა ბიქტორ-ემპანულმა და რომი თავისი ჯარით დაიკირა.—პაპას ჩამოერთვა ყველა მისი მსოფლიური უფლებანი; ის იძულებული გახდა თავის სასახლე რომში შეერთებულ იტალიის კოროლიისათვის დაეთმო. ამის შემდეგ პაპი მხოლოდ კათოლიკეთა ეკლესიის უფროსად ითვლება და არ შეუძლია იტალიის რაიმე მარიკა—გამგების საქმეში ჩაერიოს. აუწერელი იყო გარიბალდის სიხარული:—ასრულდა მისი მიზანი, რომლის მიღწევას შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე. ასრულდა მისი სურვილი: შეერთებული, თავისუფალი იტალია და მისი სატახტო ქალაქი რომი.

1872 წელს რომაელებმა გარიბალდი თავის დეპუტატად აირჩიეს პარლამენტში. რომაელები მას რკინის გზის სადგურზე მიევებნენ, შეებნენ მის ეტლში და ისე შეიუვანეს ქალაქში.

ნეთი; შეუე და მისი შეიღები ხარჯაულნენ, რამდენიც შეეძლოთ. სახელმწიფოს ასეთ უბედურების და კოტრობის დროს 650,000,000 მანეთი ვალი ჰქონდა. ამ ვალის 1/6-ები სარგებელი წელიწადში 45,000,000 მან. შეადგენდა. სარგებელს, როგორლაც ახერხებდნენ, იხდიდნენ; ვალი-კი ისევ მოუკლელდა რჩებოდა.

მთარგმ. შენიშვნა.



VIII.

1882 წელს, 2 ივნისისთვეს, თოთქმის ათი წლის შემდეგ მას ძევთ, რაც იტალია საბოლოოდ შეერთდა და გათვალისწილდა უცხოელთა შპარტელობისავან, გარიბალდი გარდაიცალა. ამ სამწუხარო ამბავში ძლიერ მაღლე მოიჩინა მთელი იტალია. ყველანი ცრემლ-მორეული ერთმანეთს შესჩივთვნენ ასეთ უძრედურებას; ყველამ თავი თბლიდ იგრძნო. სტიროლნენ გლეხები, სტიროლნენ დიდებული ერების თავისუფალი მეომარი, სტიროლნენ სახელოვანი ქალები და დარიბი მეთვაზენი. ხალხის თავისუფლების მედგარი მცველი, უანგარი გმირი საუკუნოდ გამოიხალმა იტალიას. კუნძულ კაპრერას გარშემო თვალ-გალუწვდენელ მანძილზე მოსჩინდა უზარმაზარი ტყე დიდი და პატარა გემების ანძებისა. მთელი იტალიიდან, ევროპის ყოველი კუთხიდან, ავერიკიდანც-კი შიგშეურებოდა ხალხი, რომ დიდებული პატრიოტისათვის საბოლოოდ ეცავ პატივი და გამოშვეიდებოდნენ საუკუნოდ დაკარგულ გარიბალდის. მის პატარა სახლის კანებთან მწერივად იდგა იტალიელ მეზღვაურთა სპატიო დარაჯი. მისი ოთახი სხვადასხვაფერ ვარდების ფოთლებში იმაღლებოდა. გვირგვინებით (1500) შემკული გარიბალდის გვამი მის უბრალო სავარძელზე იდო. მიცვალებულს თავისი ჩვეულებრივი ტან-საცელი ეცვა: წითელი პერანგი და წითელ ხავერდის ჭუდი. მისი შშეენიერი, პატიოსანი სახე ეხლაც-კი ზღვისაკენ, მისს საყვარელ იტალიისაკენ იყო მიმართული: მას ძლიერ უყვარდა ზღვა; მას ძლიერ უყვარდა თავისი სამშობლო, რომლის ბედნიერებას და განთავისუფლებას მთელი თვისი არსება, მთელი თვისი სიცოცხლე შესწირა. დიდი და აუწერელი მწუხარების ნიშნად სამგლოვიარო დროშა გამოკიდა მთელმა იტალიამ. ყოველი იქ დამსწრე, დიდიდან პატარამდე, საწყლად სტიროლა და სევდის მომგვერელ სიტყვებით თავის განმათავისუფლებელს ესალმებოდა. გარიბალდი მის საყვარელ კუნ-

ძულზე — კაპრეჩიზე — დაასაფლავეს. — ეს იყო ნამდვილი ჭულავის შინუხარება...



ისეთი პირი, როგორიც იყო გარიბალდი, ძლიერ ცოტაა; ბედნიერია ის ქვეყანა, სადაც ასეთი პატიოსანი და უანგარი გმირი იპოვება. გარიბალდის უყვარდა იტალიელნი; მას ძლიერ კარგად ესმოდა მათი გულის-ცემა და მისწრაფება, მას უყვარდა ისინი და მათი დედა — იტალია — მთელი თვისი არსებით და კიდევ შესწირა მას თავისი სიცოცხლე.

იტალიის შეერთებისათვის და გათხოვისუფლებისათვის ბევრი სხვა პატიოოტებიც შრომობდენ, მაგალითად: მაძინი, კავური და სხვ. მაგრამ გარიბალდი მათზე უფრო ახლო იდგა თავის ხალხთან და ამისათვის უფრო აღრეც შეასრულა ეს დიდი და უწმიდესი საქმე.

მისი გული და არსება სავსე იყო სამშობლოსადმი სიყვარულით. ით, ამ დიდმა და პატიოსანმა გრძნობაშ შეჰქმნა ის დაუკიტყარ, პატიოსან გმირად არამც თუ მარტო იტალიელთათვის, არამედ მთელი ქვეყნიერებისათვის.

მისი სახელი ეხლაც დიდი პატიოის ცემით და კრძალულებით იხსენიება მთელ იტალიაში. მისი სახელის გახსენებაზე იტალიელი როგორლაც სიხარულით აღიკვება ხოლმე და ბედნიერების ლიმილით მოგიყვებათ სასიქადულო გმირის ყოფა-ცხოვრებას. ძლიერ ხშირად უდაბურ სოფელში გლეხი-კაცის სახლში ლეთისმშობლის ხატთან ერთად გარიბალდის სურათს შეხვდებით ბებერ შეთევზეთ და მის „დიდებულ ითასში“ ნამსახურ თავისუფალ მეომართ ძლიერ უყვართ ბაასი „ბიძია პეს“, სათნოებაზედ.

გარიბალდის გარდაცვალების შემდევ იტალიაში სულ სხვა წესწყობილება დაარსდა. ამ წესწყობილებას არ ძალუდს ერთად მისცეს იტალიელთ ის ბედნიერება, რომლის დამყარებას იტალიაში გარიბალდი სცდილობდა. იტალიელთა სიღარიბე და საცოდვეო მდგომარეობა აუწერელი და საშინე-



ლია; ასეთი ხალხის სილარიბე თავდაპირველად მიწისა სიმცის
რის მიზეზია. იტალიაში ჯერაც ბევრია მთიანი და ქაბიძ
ალაგები, რომელნიც ხენა-თესისათვის გამოუსადევარია; კაი
ნოყიური მიწები-კი მდიდარ მემამულეთა ხელშია. ღალის და
ხარჯის გადახდა ხალხს ძლიერ უჭირს; მაგრამ იტალიის მმარ-
თველობა იძულებულია შეინახოს დიდი ჯარი, გიყვანოს რკი-
ნის გზები, და ხალხს განათლებაში ხელი შეუწყოს. მაგრამ
ვავა დრო და იტალია გამოძლიერდება და გამდიდრდება. ის
ეხლა შეერთებულია; მას მართავს კოროლი და პარლამენტი.
მთელ ხალხს აქვს ნება თავის მოხელეები თვითონ აირჩიოს;
ყოველ იტალიელს ოც-და-ერთი წლისას, თუ პატარა რამე
ხარჯს იზდის, ხმა აქვს არჩევნების დროს.


იტალიელნი ძლიერ გულკეთილნი და ნიჟიერნი არიან;
ისინი მაღა შესძლებენ თავის სილარიბის დამარცხებას და ისეთ
თავისუფალ და დამოუკიდებელ ხალხად შეიქნებიან, როგორიც
სურდა თავგანშირულს, პატიოსანს, თავისუფლების მედგარ
მცველს და ხალხის მეგობარს და პატრონს ჯუზეპო გარი-
ბალდის.

ვასო ღამბაშიძე.





თამარ მეფის შვილები.



ამარის შემდეგ საქართველოში გა-
მეფიდა მისი ერთად-ერთი ვაჟი გიორგი
ლაშა (1213 წ.). ბუნებით გიორგი
იყო გონიერი და მამაცი, მაგრამ
ცუდის აღზრდის გამო იმას ჰქონდა
შეთვისებული ბევრი ცუდი ნაკლუ-

ლევანება. იყო მეტად უზრუნველი, თავნება და გართობისა
და ქეითის მოყვარული.

მეფის გამოცვლით მოინდომეს ესარგებლათ განჯელებმა, რომლებიც თვით თამარის მეფობაშიაც კი მხად იყვნენ მუ-
დამ თვეი დაწმინდათ საქართველოსაგან დამოკიდებულებისათ-
ვის. 1214 წ. განჯელებმა არ გაუგზანეს გიორგი ლაშას
დაწესებული გადასახადი. მთავრობამ განჯის მოსამორჩილებ-
ლად გადაწყვიტა გალაშქრება. ამ ლაშქრობაში მიიღო მო-
ნაწილეობა თვით გიორგი ლაშამაც. ქართველი ჯარი მიად-
გა განჯის ქალაქს და ილყა შემოარტყა. ქალაქის გარემოუ-
დამ დიდხანს გასტანა. განჯელები ძალიან გამაგრებულიყვნენ
და მხნედ უხვდებოდნენ ქართველებს ქალაქის ხან ერთს,
ხან მცირე ქართან. ერთს დღეს გიორგი ლაშამ ოთხი ათა-
სის კაცის მარად შემოუარა ქალაქს დასაზღვერავად. განჯე-
ლებმა შენიშნეს მეტე მცირე ჯარით, გააღეს კარი და
შეეპნენ გიორგი ლაშას. თუმცა განჯელების რიცხვი ითი
ათასამდე იყო, ქართველები მაინც მარჯვედ შეებრძოლნ ენ.
მათაც ცემა განჯელებმა თვეი შეაფარეს ქალაქის გალა-

ვანს. ამისთანა გაბედულის და საშიშის შეტაკებისათვის და-
დებულებმა საყვედური გამოუცხადეს გიორგი ლაშას. მას-
განდა მეცე იძულებული იყო თავისი ბრალი ალექსანდრია და
ბოლიში მოეხადნა დიდებულების წინაშე. გიორგი ლაშას
თავებურს საქციელს ის კარგი შედევი მოჰყვა, რომ განჯე-
ლებმა დაპარგრებს გამაგრების ყოველი იმედი და პატარა ხანს
უკან შემოუთვალეს ქართვე-
ლებს, რომ მიეღოთ შეწერილი
გადასახადი და სხვა ძლვენი.
განჯელების ამ დამარცხებამ გა-
უმაგრო ყველას რწმენა, რომ
საქართველოს სამხედრო ძალა
ისეთივე უძლეველი იყო, რო-
გორც თამარის დროს. ამ რწმე-
ნის არსებობის დასამტკიცებ-
ლად ჩეენ მოვიყვანთ ექერთს
შემთხვევებს, რომელსაც გადმო-
ვცემს ევროპელი ისტორიული
სანუტი.

1218 წ., როდესაც იქრიუ-
სალიმის ჯვაროსნები გარს
აღგნენ დამიეტის ქალაქს და
უნდოლათ მისი აღება, დამასკის
მფლობელი კორელინი გაემარ-
თა თვით იქრისალიმის ასა-
ლებად. გიორგი ლაშამ ამ ამ-
ბის გაგებაზე შეუთვალი კორე-
ლინს, არ გაეპედნა იქრისალი-
მზე გალაშქრება. ჯვაროსნებმა
დამიეტის აღების შემდეგ სოხოვეს გიორგი ლაშას, რომ შემ-
წეობა აღმოეჩინან მათთვის თვით დამასკის ან რომლისამე სხვა
ქალაქის დაპყრობით. გიორგი მეცე ჯვაროსნების თხოვნისა-
მებრ კიდეც ემზადებოდა მათ საშველად, მაგრამ თავის გან-



გიორგი ლაშა.

ზრახვის შესრულება ველარ მოასწრო, რადგან საქართველოს მოულოდნელად გამოუჩინდა ახალი მტერი, რომელიც მართვა ველებს აფიქრებინა უფრო თავისთ თავის ღაცები, ვიდრე სხვების მიშველებაზე.

თამარ მეფის უკანასკნელს წლებში საქართველოს აღმოსავლეთით, თეთრის ზღვის გალმა, მოხდა დიდი ამბავი, რომელსაც თან მოჰყევა უდიდესი შედევი მოელის აზისთვის, ნახევარ-ეკროპისთვის და კერძოდ საქართველოსთვის. ეს ამბავი არის თათართა წვრილ-წვრილის ტომების შეერთება და დაარსება ჩინგიზ-ყაენის მიერ უძლიერესის სახელმწიფოსი (1202 წ.).

თათართა სხვადასხვა ტომების ერთს სახელმწიფოდ შეერთების შემდეგ ჩინგიზ-ყაენმა იწყო სხვადასხვა ქვეყნების დაპყრობა. პირველი და მას შემდეგ ჩინგიზ-ყაენმა საშინლად დაამარცხა ხვარაზმის მამაცი სულთანი ჯელალ-ედინი და შეუსრა ჯარი მოელს სპარსეთს. თათარების ჯარმა გამოიირა მოელი ირანი და მოადგა ჩვენის ქვეყნის საზღვრებსაც იმავე წლის გასულს. თათარების ქვეყანა ისე შორს იყო და ისე სწრაფად მოხდა მათი გაძლიერება, რომ ქართველებმა ვერ მოასწრეს თავის დროზე ამის შეტყობა, ამიტომ თათარების გამოჩენა, საქართველოს საზღვრებზე მოულოდნელი იყო.

1220 წლის გასულს თათარები მუღანის შინდეჩებში დაბანაკდნენ ზამთრის გასატარებლად და აქედან შემოსიერ საქართველოს 20,000 კაცი. რაოდენად უცნობნი იყვნენ თათარები ქართველებისთვის იქიდგან სჩინს, რომ სარწმუნოებით წარმართო თათარები მათ ქრისტიანებად მიაჩინდათ. ამ ურუ წარმოდგენისა გამო, საქართველოში შემოსეულს თათარებს ბევრები ხალხი მიეგება წინ შემოსილის მღვდლების წინამძღოლობით ჯერებითა და ხატებითურთ. საქართველოს მთავრობა სრულებით არ ეკონდა თათარების ასეთს შემოსევის და ამიტომ ვერაცითარი წინაამდევობა გაუწია. თათარებმა იკლეს საზღვრების ახლო მდებარე იდგილები და გაბრუნდენ უკანვე მუღანს.

თათრების ამ პირებულმა შემოსევამ ჩააფიქრა გიორგი
ლაშა და მისი მთავრობა. ახლა იმათ დაინახეს. რომ კარგი გადა
მტერი არ ჰგავდა საქართველოს ძელს და კარგად ცნობილს
გრეჩებს. ცხადი იყო, რომ ეს ახლად გამოჩენილი ხალხი მე-
ტად მაშაცი და მხნე მეომრები იყვნენ, მათი ომიანობის წე-
სი და ხერხი სულ სხვა იყო. ამიტომ ქართველები შეუდგნენ
მზადებას თათრების საკულოები დასახვედროად. გიორგი მეფემ
გამოირთა მოლაპარაკება მეზობელს სახელმწიფოსთან, რომ
შეერთებულოყვენენ საერთო გრის მოხაგერებლად. იდიობე-
ებანის ათაბაგმა უჩხვევმა და ქელათის მეფემ მელიქ-აშრაფმა
მიიღეს გიორგი ლაშას წინადადები და დაპირდენ მასთან
შეერთებას მომავალს გათავსებულზე თათრებთან შესაბამი-
ლებლიად, რადგან ეგონათ, რომ თათრები ზამთარში არ იღოშ-
ქრებდნენ. მაგრამ მოკავშირებს იმედი არ გაუმართლდათ.
1221 წლის იანვარში თათრები შემოვიდენ მულანითვან სა-
ქართველოს არე-მარეში და დაწყეს აკლება-აოსტება.

გიორგი ლაშა ამ გზობით თათრების წინაამდეგ გაგ-
ზანა კარგა დიდი ჯარი—60 თუ 80 ათასი კაცი. უეპევლია,
თათართა რიცხვი უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. თათრებმა
ქართველები დამარცხეს ბერდუჯის ნაპირის და სლიეს სამ-
შვილდემდე. ამ დამარცხების შემდეგ საქართველოს მთავრო-
ბა ხელახლა შეუდგა მზადებას და ახლის ჯარის შეგროვე-
ბას თათრების გასაღევნად. თათრებში კი უფრო წინ წამოი-
წიეს, ტფილისამდე მოვიდენ და იწყეს მიღამოების აკლება-
აოსტება. ქართველებს ახლა შესწივლილი ჰქონდათ თათრე-
ბის ოშიანობის წესი და ხერხი და ამიტომ ახლა უფრო მარ-
ჯვედ იგერებდნენ მათ და კიდევ ამარცხებდნენ. თათრებმა
დაინახეს, რომ ქართველების დამორჩილება ძნელი იყო, რომ
მათ ჰქონდა საქმე მაშაც და მარჯვე ხალხთან. ამიტომ ანე-
ბებს თავი საქართველოს და გავიდენ მის სამზღვრებითვან
(1221 წ. მარტში). მართალია, დიდი ზიანი მოუტანეს სა-
ქართველოს თათრებმა, მაგრამ არც მათ დაუჯდათ იაფად
თავიანთ შემოსევა. ქართველებმა დახოცეს 25,000-ამდე თა-

თარი და ბევრიც ტყვედ ჩაიგდეს. საქართველოთვან გასცლის შემდეგ თათრები გაემართნენ შირვანისენ და იქმოვნ გადახარ ვიდენ კავკასიის იქით — ყიფას ყევში.

ამნარაც გაიარა თათრებთა შემოსევამ და საქართველო ისევ ძველებურს პირობებში დარჩა. გიორგი ლაშამ იღად-გინა თავის სამეფოს ძლიერების სახელი. მეზობელი სახელ-მწიფოები ისევ უწინდელის მოწიწებით და მოკრძალებით უცემეროდენ საქართველოს.

გიორგი ლაშა გადაიცვალა 1223 წ. 18 იანვარს და დატოვა ერთად-ერთი შეილი ჯერ კიდევ სრულებით ყმაწვილი დაეით. სამეფო ტახტი ანდერბით დაუტოვა თავის დას რუსულანს იმ პირობით, რომ შემდეგ მეფობა გადაეცა მის შეილის დაეითისათვის, როდესაც იყი მოწიწიფებოდა.

რუსულანიც თავის ზნეობით ისევე დაბლა იღვა, რო-
გორც მისი ძმა გიორგი ლაშა. მეტად ამპარტავანი და ვნე-
ბათა ამყოლი არ ერიდებოდა არაეითარს საშუალებას, ოლონდ
კი დაეკმაყოფილებინა თავის პირალი ინტერესი და სიამოვ-
ნების ენი.

პირველს ორს წელიწადს რუსულანმა იმედა მშეიღობი-
ანად. საქართველო სავსებით სარგებლობდა იმ ძლიერებით,
რომელიც შეძენილი ჰქონდა მას წინა დროებში. თათრების
შემოსევამ გიორგი ლაშას დროს გრიგოლიგით გაიარა და
უველას ეგონა, რომ იღარავითარი საშიშროება მოელოდა
საქართველოს. რუსულან და მისი მთავრობა ახლა იმის ფიქრს
შეუდგა, რომ განებორციელებინა გიორგი ლაშას განძრისება
ჯვაროსნულის ლაშქრობის გამართვის შესახებ პალესტინის
დასახსნელად. ამის შესახებ რუსულანმა მისწერა კიდეც წე-
რილი პაპს პონორიოს და ეკითხებოდა, როდის წამოვა სა-
ლაშქროდ იმპერატორი ფრიდრიხი, რომ ჩერიც მაშინ გვე-
ლაშქროთ. მაგრამ არც რუსულანს დასცალდა ამ განძრის-
ვის განხორციელება, რადგან საქართველოს ხელ-ახლა მო-
ეკელინა მძლავრი მტერი. ეს იყო ხვარაზმის სულთანი ჯე-
ლალ-ედინი.

თათრებისაგან დამარცხებულმა და შევიწროებულმა ჯელალ-ედინმა დამოაჩინებას თავის ქვეყნის მუტუფების მარეკა ჯობინა. იმან გამოუტაცა თავის ქვეშვერდომებს, ვისაც არ გინდათ თათრების მონობა, გამომყეთ დასავლეთისკენ, სხვა ქვეყანა დაეიჭიროთ და იქ დავმკვიდრდეთო. ეს წინადაღება ბევრმა მიიღო და აუარებელი მეომარი ცოლშეიღლით გამოჰყა მას. ამ ჯარით ჯელალ-ედინი მოვიდა აღირბევანს და აქედგან შემოვიდა საქართველოს არე-მარეში (1225 წ.).

ამ ამბის გაგონებაზე ძალიან დაფუაცურდნენ ქართველები. რუსულან შეფერ და მისმა დიდებულებმა გადაწყვიტეს მეაური წინამდევობა გაეწიათ ხვარაუმელებისათვის. მიირ-სპასალარის და ათაბაგის ივანე მხარგრძელის წინამდლოლობით გაემართა ქართველი ჯარი ჯელალ-ედინისკენ, რომელიც დაბანაკებული იყო გარნისში. იქ მოხდა შეტაკება ქართველებისა და ხვარაუმელებისა. სამწუხაროდ ჯარის წინამდლოლი ივანე მხარგრძელი პირადის მტრობით თავის დროზე არ მიიჰყელა მოწინავე ჯარს, რომელსც ხელმძღვანელობდენ მმანი შილვა და ივანე ახალციხელები. ამის გამო მოწინავე ჯარი დამარცხდა და მის შემდეგ სხვა ჯარიც შეშინებული უკან გამობრუნდა. ამ ბრძოლის ის შედეგი ჰქონდა, რომ ხვარაუმელები შეჩერდენ და წინ აღარ წამოუდგამო ფეხი. ჯელალ-ედინმა თავის სამოქმედო ნიადაგად გახადა აღირბევანი და იქიდგან ორის წლის განმავლობაში მხოლოდ დასაჩბევად თუ გამოგზანიდა ხოლმე ჯარს საქართველოს სამდლერებზე.

თათრებისაგან გამოქცეულს და აღირბევანში დაბინავებულს ჯელალ-ედინს არ შეეძლო თავის თავი უშიშარს მდგომარეობაში წირმოვდგინა. ის ხედავდა, რომ თათრების წინამსელელობის ვერაფერი აკავებდა და რომ მალე მას ახალს ბინაზედაც მოსძებნიდენ. რომ ზურგი გაემაგრებინა თათრების წინაამდეგ, ჯელალ-ედინმა მოლაპარაკება გამართა საქართველოს ახალს ამირ-სპასალართან ავაგ მხარგრძელთან (ივანეს შეიღლია) იმის შესახებ, რომ რუსულანი მისთხოვებოდა მას მა შეერთებულის ძალით შებრძოლებოდენ ხვარაუმელები და

ქართველები საერთო მტერს—თათრებს. ცხადია, ამ საშუალებით ჯელალ-ედინს უნდოდა მშეიღობიანად დაწყის წერე ქართველო და ბინა მოეკიდნა თავის ხალხით ჩენებს ქვეყანაში, როგორც ჩენების შეფის მეუღლეს. თქმა არ უნდა, ამისთანაც წინადაღებას საქართველოს მთავრობა არ შეიწყნარებდა. რუსულანისაგან უარის მიღების შემდეგ ჯელალ-ედინშა დაინახა, რომ ქართველთაგან ის ვერავითარს დახმარებას მიღებდა თათრების წინაამდეგ და ამიტომ გადაწყვიტა საქართველოს ძალით დაკერა და მაში გამაგრება.

ჯელალ-ედინშა დასძრა თავისი ჯარი და გამოემართა ტფილისისაკენ 1227 წ. ამ მშის გვიპინგაზე რუსულანშა დასტუკა ტფილისი და გაემართა ქუთაისისკენ. ტფილისი გაამავრეს ქართველებმა და შივ ჩაიყენეს მცველი ჯარი. აგრეთვე გაამაგრეს უცელა ციხე-ქალაქები, ხოლო ხალხი შეეფარა სიმაგრეებს. ტფილისისკენ მომავალი ჯელალ-ედინი შეუბრალებლად იყლებდა უცელაფერს, რაც გზაში ხდებოდა. ტფილისთან ფიცხელი წინაამდეგობა გაუწიეს ქართველებმა ხეორაზმელებს. მაგრამ შინაურმა გამცემლებმა— ტფილისში მცხოვრებმა სპარსებმა მეორე დღეს გაუდეს ღალატით ქალაქის კარი ჯელალ-ედინს და უეუშვეს მისი ჯარი. ქართველი შეცვლი ჯარი ცხარე ბრძოლის შემდეგ გამაგრდა ავლიბარში. შეგრამ მაღვე მას მოუვიდა ქუთაისითგან ბრძანება, რომ მიეტოვებინა ქალაქის ეს ნაწილიც და უკან დაეხია.

გამხეცებული ჯელალ-ედინი მეტად უდიერად მოეკიდა ტფილისის მცხოვრებლებს. ქალაქი გააცარცვინა თავის ჯარს, დააწვევინა სახლები, დაახოცინა აუარებელი ხალხი და გააუპარუბებინა ქალები. მან არ დაინდო ქართველთა სარჩმუნოებრივი გრძნობაც-კი. სიონის ტაძრის გუმბათი დაქცევინა, მის აღვილას ტაძრი დაადგვევინა და იმაზედ დამჯდარი სტკებებოდა ქალაქის ოხრების სურათით. გასცა ბრძანება, რომ ქართველებს, ვინც ცოცხალი გადაიჩია, ერთგულობაზე შეეფიცნათ მისთვის და ამის ნიშნაუ მიეღოთ მაჭმადიანობა. ვინც ამას არ შეისრულებდა, ახოცინებდა. ქართველთა მომეტე-

ბულმა ნაწილმა არ შეასრულა ასეთი ბრძანება და დასცვა კავკაციური ეროვნულის და საჩიტო მუნიციპალიტეტის თავისუფლებამ მოვალეობა და ეროვნულის ამხრების შემდეგ ჯელალ-ედინშა დაგზანა ჯარის რაზმები ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა კუთხების მოსარჩევა და ასაკლებად. ხვარაზმელების მისვლის ყოველს სოფელ-სა და ქალაქში თან მოსდევდა ცარცუა, სახლების წვა, ხალხის ცემა-ტყება და ხოცა, ქალების გაუპატიურება და ერთგულებაზე დაფიცება მაპმადიანობის მიღებინებით. ასე გაიახრა და დააწიოკა ჯალალ-ედინშა მთელი აღმოსავლეთი საქართველო: კახეთი, ქართლი, სომხეთი, ჯავახეთი, სამცხე, ტაო, კარნიფური და ანის არე-მარე. ამ სიმძელით ჯალალ-ედინს უნდოდა დაეშინებინა ქართველობა და საუკუნოდ ხელი იე-ლებინებინა თავისუფლებისადმი მისწრაფებაზე.

საქართველოს მთავრობამ, ქუთაისში გახიზნულმა, ერა-მოახერხა-რა, რომ წინაამდევნობა გაეწია ხვარაზმელებისა-თვის აღმოსავლეთ-საქართველოში. მხოლოდ დასავლეთი სა-ქართველო გაამიგრა და არ უშევებდა იქ მტერს. ასე გაიარა სამშა წელმა. 1230 წ. ჯელალ-ედინშა შეიტყო, რომ თათრის დიდი ჯარი მოდიოდა დასავლეთ-საკენ. თათრების შესახერებ-ლად ჯელალ-ედინი გავიდა ტფილისითვან თავის ჯარით და მივიდა ადირბეგენის სამძლევრებამდე, საიდგანაც შეუთვალი ქე-ლათის მეუეს და ბალდაცის ხალიფას, რომ შეერთებოდენ მას და ერთად დახვედროდენ თათრებს. მათ არ შიიღეს ეს წინა-დადება და ჯელალ-ედინი ისევ უკან გამობრუნდა.

ჯელალ-ედინის ტფილისიდგან გასვლის შემდეგ ქართვე-ლებმა შეაგროვეს ჯარი და მოინდომეს ხვარაზმელების გან-დევნა საქართველოთვან. ქართველი ჯარი ვორის ახლოს იყო თავმოყრილი, როდესაც გაიგეს ჯელალ-ედინის უკან გამობრუნება. ქართველები გადაურენ მის შესახველრად და შეებ-ნენ მას ბოლნისის-ხევში. აქ ხელისხმად დამარცხდენ ქართვე-ლები და ტფილისში ჯაბრუნებულმა ჯელალ-ედინშა ხელ-მე-ორედ ათხრი აღმოსავლეთი საქართველო.

ქადაგრამ ჯელალ-ედინი ვერ დატება თავის გამარჯებით.

მალე საქართველოში შემოვიდენ თათრები. ესენი პირველად მიაღვენ განჯას და სამის დღის გარემოცვის შემდეგ აიღეს აქედგან წამოვიდენ ტფილისისაკენ. იმის შემტკობმა ჯელალ-ედინმა მიანება ტფილისს თავი და თავის ჯარით გაემურა მცირე-აზიისაკენ. თათრები უკან გამოედევნენ. მისი ჯარი გაფანტ-გამოფანტეს და თითქმის მარტოდ დარჩენილი ჯელალ-ედინი თავის შეფარებას ქურთისტანის მთებში აპირებდა. ის, უკეცველია, თათრებს ტყველ ჩაუკარდებოდა, ერთს ქურთს რომ არ მოეკლა ძილის დროს (1230 წ.).

ჯელალ-ედინის გაქცევის შემდეგ რუსუდან მეფე ისევ ტფილის დაბრუნდა. თათრები მცირე-აზიაში გაერთნენ ქვეყნების დაპყრობისა და ლაშქრობაში და საქართველო დროებით თავისუფალი შეიქნა მათ შემოსევისაგან. კარზედ მომდგარის მტრის შემოსევის შიშიში მყოფი რუსუდანი შეუდგა იმის ზრუნვას, რომ საქართველოს მეფის ტახტი დაემტკიცებია თავის შეიღის დავითისათვის. (რუსუდანს ქმრიდ ჰყავდა სელჯუკი მოგითელინი, გაქრისტიან გზული, რომელსაც სახელმწიფო საქმეებში არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა და რომელიც ძალიან დაბრიყვებული იყო მისგან. დავითის გარდა რუსუდანს ჰყავდა ქალი, სახელიდ თამარი). 1234 წ. რუსუდანმა სამეფო გვირგვინი უკურთხა თავის მცირე წლოვანს შეიღს. მაგრამ ეს არ კმართვა მის უზრუნველსაყოფელად. მეფობის უფლება იმაზედ მეტი ჰქონდა გიორგი ლაშას შეიღს დავითს. თავის გულითადის სურვილის მისაღწეული რუსუდანმა გადაწყვიტა თავის ძმისწულის დალუპვა. ამ აზრით მან გაუგზავნა იგი თავის ასულის თამარის ქმარს იკონის სულთანს ყიასდინს, რომელსაც სთხოვა თან მისი მოკველი. როდესაც ყიასდინმა არ შეასრულა მისი მხეცური სურვილი, რუსუდანმა გაშართა ისეთი ჯოჯონეთური ინტრიგა ძმისწულის წინა-მდებარები, რომ ყიასდინმა საპყრობილები ჩააგდებინა იგი.

ამ დროს თათრებმა საქართველოსთვისაც მოიცალეს და დაიწყეს შემოსევა ჩეენს ქვეყანაში. გულ-გატეხილმა და დაბუნებულმა საქართველოს მთავრობამ ველარ მოიხერხა საქმა

რისის ჯარის შეგროვება თათრების მოსაგერებლაც. რუსულან მეფემ მიატყვა ტფილისი და გადავიდა ქუთაისა—მინიურა—საქართველოს დიდებულები თავ-თავინთ სიმაგრეებში გამიგრდენ. თათრები მიესინ ციხე-ქალაქებს. ვინც თავის ნებით ემორჩილებოდა, პირდებოდენ ხელშეუხებლობას და თავის შამულზედევ დატევებას. ზოგან დაპირებით, ზოგან ძალით თათრებმა რავდენსამე წელიწადში დაიკირეს მთელი ამიერ-საქართველო. თათრებმა მოსთხოვეს დამორჩილება რუსულან მეფესაც, შეგრამ ვერ გასჭრა მათმა ორც მუქარამ და ორც და-პირებამ: რუსულანი მტკიცედ იდგა უარზე, იმიერ-საქართვე-ლოში გამაგრებული. თათრებმა ვერ მოახერხეს ამ ქვეყნის ძალით დაკერა. თათრები ქართველებს და რუსულან მეფეს მორჩილების ნიშნად ორს რასმე სთხოვდენ: გადასახადს ფუ-ლად და ჯარს საღაშქროდ. სხვაფრივ ცხოვრებასა და მარ-თვა-გამგეობაში უტოვებდენ სრულს დამოუკიდებლობას.

თათრების განდევნის საშუალების ტებნის დროს რუსულან მეფეს აზრიდ მოუვიდა, შემწეობა ეთხოვნა ცეროპიოლებისათვის და წერილიც მისწერა ამის შესახებ პაპს გრიგოლ მეცხრეს. პაპმა პასუხად შემოუფალა 1240 წელს, რომ მას ორ შეეძლო არავითარის შემწეობის აღმოჩენა, რადგან თი-თონიაც შეტად გაჟირებულს მდგომარეობაში იყო მუსულმან-თა და მწვალებელთაგან.

ცეროპიოლთაგან შემწეობის იმედის დაკარგვის შემდეგ რუსულანმა შეუფალა თათრებს, რომ იგი დაემორჩილებოდა თა-თართა მფლობელობას. თუ მის შეილს დაეითოს სცნობდენ სა-ქართველოს მეფედ (1241 წ.). თათრებმა უპასუხეს, რომ სა-ქართველოს მეფედ სცნობენ მის შეილს, თუ ვაგზანიდა მათ-თან. ამ პასუხის მიღების შემდეგ რუსულანი წავიდა ტფილის და თან წაიყვანა შეილი. ტფილისითვინ დავითი ვაგზანა ბარ-დავს თათრის ნოინებთან (მთავრებთან) 1242 წ. ნოინებმა და-ვითი ვაისტუმრეს ყაენთან ყარიყორუმში. დავითის ყაენთან ვაგზავნის შემდეგ რუსულანს შეეშინდა, მეც არ შემიპყრან

ତାତକ୍ରେପମାର ଲା ଅମିତ୍ରମ ମିଳାରୁଷା କାଳେହ ରୁଫିଲିସିର ଲା ପାନ୍ଧି, ଶାଶଲଦା କ୍ଷେତ୍ର-ବେଳାଦ କ୍ଷୁଟାଇସ୍.

ରୁଷୁଲୁଦାନି ଯେହ ମନ୍ଦିରରେ ତାଙ୍କିଲ ଶ୍ଵେତିଲିଲ ଲାବରୁନ୍ଦେହେଲ ପାରାପରାରୁନ୍ଦିତବାନ. ମିଳିଲ ମାଗିଏର, ରାମ ଦାଵିତିଲ ମାଲ୍ଲ ଲାବରୁନ୍ଦେହେଲିନା ଚୂଜାନ, ପାର୍ବତୀ ଲାବରୁନ୍ଦେହ ତାଙ୍କିଲିତାନ ଲା ବରାଗିନ ରପାଲା, ରାମିଲିଲ ଗାମିଲିଲରୁନ୍ଦିତବାନ. ଏହ ଅମ୍ବାଗିମା ମାଲ୍ଲିତାନ ଶ୍ଵେତିଲିଲା ରୁଷୁଲୁଦାନି. ଶ୍ଵେତିଲିଲ ଲାବରୁନ୍ଦେହିଲ ମନ୍ଦିରିଲିନିଶି ମିଶ୍ରତାର୍ଥେ ରୁଷୁଲୁଦାନି ର୍ଘେଲ ଗାନ୍ଧିଲା ଲା ଗାନ୍ଧାରିପ୍ରାଦା 1245 ଟି.

ଡ. କାରିକ୍ଷାଶ୍ଵେତିଲିଲ.



sh



ტასართობი

ფ ი ზ ი კ ი ღ ა ნ *)

ი ნ ე რ ი ა .

უკელა თქვენგანმა იცის, რასაკეირველია, რომ ურემი
თავისთვის არ დაიძერის ადგილიდანი: ამისათვის საჭიროა,
მაგ. ძალა ხარისა, ცხენისა, კამბეჩისა, რომ შევაბათ და გა-
ვაწევინოთ. ორთქლმავალსაც ამგვარადვე სკირლება დიდი
ძალა, რომ დაიძრის და წილოს მთელი რიგი ვაგონებისა
ერთი სადგურიდგან მეორემდე. საზოგადოდ, უკელა საგნები,
რომლებიც-ეს არსებობენ ბუნებაში, სცდილობენ იყვნენ მო-
სვენებით, გაუნძრევლადა და მხოლოდ მაშინ იწყებენ მო-
ძრაობასა, როდესაც მათზედ რაიმე ძალა იმოქმედებს. უსუ-
ლო საგნები მაშინ მოძრაობენ მხოლოდ, როდესაც მათზედ
რაიმე გარეშე ძალა მოქმედებს. სულიერნი-ეს მოძრაობენ
თავისის ნებითა და სურვილით კუნთების საშუალებით. ურე-
მი დაიძრია ადგილიდგან იმიტომ, რომ ამოძრავდა ურემში
შებმულ ხარებისა და კამბეჩების კუნთები; ორთქლმავალი
ამოძრავდა იმიტომ, რომ ორთქლმა დააქირა და აამო-
ძრავა საცობი ჩანჩახურები ცილინდრებში, რომლებიც
ორთქლმავალსა იქვს გვერდებზედ მიკრული. ჩანჩახურებში
თავისს მხრივ აამოძრავეს ლერძი, რომელიც თელებზედ არის
მიმაგრებული, ლერძმა თელები აამოძრავა, თელებმა ტრია-
ლი დაიწყეს და მთელი ორთქლმავალი აამოძრავეს. კალამი,

*) Колумбово яйцо, Игнатъева.

რომლითაც მე ვსწერ, დაურავს ქალალდზედ თეთეჭის და ლის გავლენით, რომელითაც მიქირავს კალმის და ტანისა და სხვ. ფრინველი, რომელიც დაფრინავს ჰაერში, ბუზი, რომელიც ეხლება ფანჯრის შეზეა, ბავშვი, რომელიც მირბის ქუჩაში, — ყველა ესენი მოძრაობენ თავიანთის კუნთების ძალითა და საშუალებით.

მეორე მხრივ, ყოველსავესაგანს, რომელიც უკვე ამოძრავდა, თავის თავად გაჩერება არ შეუძლიან; ამისათვის საკირთა მოქმედება სხვა რომელსამე შემაყენებელ ძალისა. ბურთი, რომელიც მიგორავს იატაჭიედ, ჩერდება თავის თავად-კი არა, არამედ იმიტომ, რომ ეხახუნება იატავს. ბურთს აჩერებს აგრეთვე ჰაერიც, რომლის გაკვეთაც ბურთსა სკირდება, როდესაც იატაჭიედ მიგორავს.

უეპველია, გამოვიცდიათ, რა ძნელია, მაგალითად, უცებ შეჩერება, როდესაც გაქანებული მირბიხართ, ან გინდათ ხელი სტაციონ ამხანავს იმ დროს სწორედ, როდესაც ის უცებ მიმართულებას იცელის და მოულოდნელად გვერდზედ გადაგიხტებათ. ამ შემთხვევაში თქვენ უთუთა რამდენისამე ნაბიჯს გაიჩენთ კიდევ და ისე შეჩერდებით მხოლოდ. გაპენებული ცხენი რომ მოულოდნელად შეჩერდება, მხედარს უთუთა წინ წაიგდებს და გადისვრის ხოლმე. მაშასალამე, რომ შემაფერხებელი მიწეზები არ არსებობდეს, არასოდეს ამოძრავებული სავანი თავისს-თავად არ შედგებოდა. დედა-მიწა და ყველა ცის მნათობნი, რომლებიც ცის სიტყვით, ყოველი სავანი თავისს მდვრმარეობის შენარჩუნებასა სცდილობს: თუ მოძრაობს, განავრძოს მოძრაობა, თუ უძრავედ არის, უძრაობა და მოსვენება შეინარჩუნოს. სავანთა ამ საერთო თვისებას ფიზიკაში ინერცია ეწოდება. მაშესადამე, ინერცია ყოფილი საერთო თვისება ყველა სავანისა, რომლის ძალითაც იგი სცდილობს შეინარჩუნოს თავისი მდგრმარეობა. ინერციაზედ არის დამყა-

რეპული ბევრნაირი ცდა. ზოგიერთს მათგანს, როგორც
უფრო ადვილსა და საყურადღებოს, გაგაცნობთ ქვემოთდან:

I

ჩამონი ძალი.

აიღოთ შძიმე რისამე ბურთი, ჩაურკეთ შივ ორი რგოლი,
ერთი მეორის პირდაპირია. ზევითა რგოლში ჩააბით მაგარი
ძაფი და მალლა ჩამოჰკიდეთ ჩანგალზედა. ასეთივე ძაფი მოა-
ბით ქვედა რგოლსაც. რაკი ასე შეემზადებით დაუძახეთ მა-
ყურებლებსა და ჰკითხეთ: რომელი ძაფი გაწყდება, ქვედა
ძაფს რომ დავწიოთ-თქო? ერთნი დაიწყებენ შტკიცებას, რომ
ზედა ძაფი გაწყდება, მეორენი-კი—ქვედა; შეიძლება ისე-
თებიც აღმოჩნდნენ, რომ ეგონოთ, ორივე ძაფი გაწყდება.
ახლა-კი შეგიძლიანთ გამოაცხადოთ, რომ თქვენი ძაფები გამ-
გონენი და მორჩილნი არიან; ამიტომ თქვენის სურვილისა-
მებრ გაწყდება, გინდათ, ზევითა, გინდათ, ქვევითა ძაფი. თუ
მაყურებლებლებში მოინდომეს, მაგალითად, რომ ზევითა ძა-
ფი გაწყდეს, ნელ-ნელა ჩასწიეთ ქვევითა ძაფსა და თან-და-
თან უმატეთ ძალისა. მაშინ უკეცელად ზევითა ძაფი გაწყდე-
ბა. რად ხდება ესა? მოგახსნებთ, რათაცა. როდესაც ქვევითა
ძაფს ვეწევით, მაშინ ზევითა ძაფზედ თანაირი ძალა მოქმე-
დებს: ერთი მხრიց ბურთის სიმძიმე, მეორე მხრიց—ხელის
ძალა, რომელიც ძაფს ეწევა ძირსა.

თუ მოინდომეს ახლა, რომ ქვედა ძაფი გაწყდეს, ასე
მოიქეცია: მოჰკიდეთ ხელი ქვედა ძაფსა და უცებ და ლო-
ნივრად დასწიეთ ხელი ძირსა. მაშინ უთუოდ ქვედა ძაფი გა-
წყდება. ამავე დროს ბურთი არც-კი შეინძრევა. ეს რიღათი
აისწება? ინერციის კანონის ძალით, რადგანაც ბურთი სცდი-
ლობს შეინძრებოს თავისი მდგომარეობა—უძრაობა ანუ მო-
სვენებით ყოფნა. როდესაც ხელს უცებ ჩავკრავთ, ჩაკრის
ძალა ქვედა ძაფზედ მოქმედებს მოლოდ და რაკი მოქმე-
დება სწრაფი და უცებია, ბურთზედ გადასცლას ველარ ასწ-

რობს, ქვედა ძაფსა სწყვეტს. მხოლოდ ბურგი-კი არა შემჩნევა
რევა, ინერციისავე კანონის ძალით. რომ ცდამ კანგალ ჭარბი



10

იაროს და არ გამტკუცნდეთ, საქიროა, სანამ ვისმეს ვააცნობ-
დეთ, თქენ თქითან აამდენჯერმე სცადოთ და მხოლოდ მე-
რე-ღა აჩვენოთ სუადც.

ხალხის რწმენით როგორც კუ ისე ოფოფი ადამიანები
ყოფილან და ი როგორ გადაქცეულან: ერთი რძალი უომსა
ზელავდა. ამ დროს მაზლმა შემოასწრო. რძალს შერცხვა:
მაზლმა ტიტველა ხელები არ დამინახოსო, გადააბრუნა ვარ-
ული და ქვეშ შეძერა. ლმერთმა ამისსთანა ცოდვისაოვის რო
უომი წიბილწა, კუთ გადააქცია და სასჯელად ზურგზედ
არცლის ტარება მისცა.

იძლევა მთელ დედამიწაზე განთქმულ შაშპანის ღვეინოს. ესეც კოტაა. მთელი პარიზი აშენებულია ამ პაწაწა არსებაზა დაწვებით, აშენებულია მკერივი თირიანი ქვისაგან, რომელიც სულ ერთიანით შემდგარია მიკროსკოპიულ არსებათა უწინდელი სახლებისაგან. ამგვარად მათი პატარა სახლებისაგან დღეს აშენებენ ექვს-შვიდ სართულიან სახლებს, რომელებშიაც მიკროსკოპიული ცხოველები კი არ ცხოვრობენ, არამედ წვრილი, დიდრონი და საუბედუროთ იშვიათად, დიდებული აღამიანებიც. ამნაირად თქვენ ხედავთ, რომ უძლიერესნი მტერნი გინდ შეგობარნი აღამიანისა ის არსებანი არიან, რომელნიც ათასობით უხუცავენ მას შინაურ ცხოველებს, როგორც ბაქტერიები, აგრეთვე ის არსებანი, რომელნიც აშენებენ ვეებერთელია მთებს, ამზადებენ ნიაღაგს მცენარისათვის, გინდ იძლევიან მასალას ვეებერთელია დიდებულიად მოწყობილ ქალაქების ასაშენებლად.

დასასრულ პაწაწა ცხოველებიდან გადავიდეთ ვეებერთელია არსებზე, რომელნიც აგრეთვე სასარგებლონი არიან ჩეკნთვის. მათში უფრო სისარგებლოა ვეშაპი, რომელიც გვაძლევს ქონს და „ულვაშებს“. ეს ულვაშები მას აქვს ვეებერთელია ყბაში. შეძლებ სამხრეთში მცხოვრები ვეშაპის ნითესავი კაშალოტი, რომელსაც აქვს ბევრი კონუსის მზგავისი კბილები.

კაშალოტს თავის ქალაში აქვს ვეებერთელია არე, რომელშიაც მომწყველეულია ქონის ნივთიერება. ეს ნივთიერება პატარზე მაგრდება და ამ სახით ცნობილია სპერმაციის სახელით. სპერმაციი ისმარება სხვადასხვა წარმოებაში.

ამ საცოდავ ცხოველებს სდევნიან თეთით ყინულის სამეფოებაშიდის. არა ერთი ხომალდი მიემგზავრება ყოველ წელიწადს ვეშაპის საძებნელად. შენიშვნავენ თუ არა მონადირეები წყლის ზედა პირზე მიძინებულ ვეშაპს, მაშინათვე ნავით გასწევენ მისკენ.

რაკი მონადირე მიუხალოვდება ვეშაპს, მაშინვე ესერის კვილთს, რომელსაც მიბმული აქვს გრძელი საბელი. ვეშაპი დაიძერის, ჩაყინთავს და წარიტაცებს თან კვილთს, თოკს და

ხან ნავსაც. ამ დროს ცხოველი ჰყარგავს ბევრ სისხლის დაზეულ-ახლა ამოვა ზევით, რომ ამოისუნთქოს. მაშინ ხელისხმა ესვ-რიან კვილთებს. ასე გაიმეორებენ, სანამ ცხოველი სრულიად არ მოკვდება. ამის შემდეგ ვეშაპს დასჭრიან და გამოაცლიან ნახევრად თხელ ქონს. ხშირად ერთ ვეშაპს 120 ბოჩკა ქონს ამოაცლიან.

კვილთით ნადირობა ისეთ ცხოველზე, რომელსაც ერთი კულის გაქნევით შეუძლია ნავი ნაფოტებად აქციოს, საფრთხი-ლოა. ამიტომ ბოლო დროს ვეშაპებს ესვრიან მოშხამულ ის-რებს ან ისეთ ტყვიებს, რომელნიც სხეულში სქდებიან, ხან კი ესვრიან მაშხალის, რომელსაც ბოლო წაწვეტიანებული აქვს. მაშხალით ნადირობა იმითაა კარგი, რომ შეგიძლიანთ შორიდან ესროლოთ და გაცილებით უფრო ჩქარი მოჰკლიათ ნადირი.

ამნაირად ჩქენ განვიხილეთ თითქმის სულ ყველა სასარ-გებლო ცხოველები. ოქვენ ხედავთ, რომ აღამიანი გაბატონე-ბულა ცხოველთა უმეტესობაზე, მაგრამ ამავე დროს ბევრი შეცდომაც მოსვლია, ბევრი ცხოველი დაუხოცია უგუნურო-ბით. ამ აზრის კეშჩარიტება თქვენთვის არა ერთხელ იქნება ცხადი, როცა წაიკითხავთ ხმელეთზე და ზღვებში მოგზაურო-ბის ამბებს.

თავი მეტეორეცი

ცხოველთა შორის არსებული განსხვავება. — კლასიფიკაცია.


კლასიფიკაციის დადგენის სიძრის სიძრის: მოდგმათა სიძრაულე; გარეუანი სახე წშირათ შეცდომაში შეგვიყანს; კეშაპი—თევზი როლია. რბილსისხლიანი და ცივსისხლიანი ცხოველები. მოკლე კლასიფიკაცია. ხერხემლიანები: ძუძუმწოვარნი, ფრინველები, მტლინავები, ქვემძრომნი, თევზები. სახსროვან-რგოლებიანები: მწერები, მრავალფეხოვანნი, ობობასმაგვარნი, კიბომაგვარნი, რგოლებიანი ჭიები. რბილ-სხეულიანები, ანუ ლოქორიები: თავფეხები, კრთხმაწყვიანი და ორჩმაწყვიანი ლოქორიები. — ცხოველმცენარენი: ზღვის ზღარბები, მედუზები, გილრები. — ინფექციორიები. — ლრუბლები.

ბევრ სხვადასხვა ცხოველების შესახებ ვისაუბრეთ ჩვენ: არ დაგვივიწყია არც დიდი ცხოველები, არც წვრილი, არც ხმელეთის და წყლის, სასარგებლო და მავნე. რამდენი სახელები გაიგონეთ ჩემგან! მიუხედავათ ამისა ჩვენ მეტათ მცირედი რიცხვი დავასახელეთ არსებულ ცხოველებისა. ზოოლოგების გამოთვლით რამდენიმე ასი ათასი მოდგმის ცხოველია ქვეყანაზე.

როგორ უნდა მოვიქცეთ ეხლა, რომ რაიმე წესი შევიტანოთ ამ უთვალივ არსებათა შესწავლაში? როგორ შევაერთოთ ის ცხოველები, რომელნიც ერთმანეთს ემსავსებიან და როგორ გავყოთ ისინი, რომელთაც რაიმე თავისებურობა აქვთ? ეს კი მეტათ საკიროა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ სრულიათ აგვერევა გზა და კვალი ცხოველთა სამეფოს უთვალავ წევრთა გაგებაში.

წარმოიდგინეთ, რომ ერთ ჭრიალ მინდორზე სულ ყველა ცხოველები ჩამწერიებულია თქვენ წინ. ამავე დროს თქვენ შევიძლიათ იმათ უბრძანოთ. ახლა გეკითხებით, როგორ უბრძანებთ იმათ, რომ განაწილდენ?

— თქვენ მეტყველ გავანაწილოთ სისხლს მიხედვით ჯერ დიდები მეტე საშუალო ტანისანი, ბოლოს კი პატარაები.



— ძალიან კარგი, შაგრამ ივარგებს ასე? ერთ ბოლოში მოემწუდევიან: ვეშაპი, სპილო, ხეითქი, ზეგენი, შეკრუშე კი—ბელურა, თაგვი, ბაყაყი, ხელიკი, ლიფსიტა და სხვა. და განა დიდი მზგავსებაა სპილოს და ხეითქის შეა, ინდა ბელურას და ხელიკს შეა? განა ხეითქი უფრო ხელიკს არ ემზგავსება, ვიდრე სპილოს: ის ხომ მხოლოდ დიდი ხელიკია. მაში თქვენი ხერხი, რომ ცხოველები სისხოს მიხედვით ჩავამწერივოთ, სრულიათ გამოუდევარია. ის კიდევ უფრო ახლენს საქმეს, რადგან აშორებს ერთმანეთს მზგავს ცხოველებს და აერთებს ისეთებს, რომელთაც ერთმანეთში არავითარი მზგავსება არა აქვთ. საკიროა გამოვიგონოთ უფრო კარგი ხერხი.

— უუბრძანოთ ფრთოსანთ ჩამწერივდენ ერთათ?

— ძალიან კარგი. ეს კარგი წინადადება. ცველა ამ ცხოველთ ჩვენ შეგვიძლია დავარქეათ ერთი სახელი: ფრინველები. ფრინველთა შორის ცნობილია 12,000! მოდგმა შაინც და ი ცველა ამათ გამოვატილებთ ცხოველთა საზოგადო რიცხვს და ამით შევიმსუბუქებთ საქმეს. კარგი, ვთქეათ, ფრინველებს ვარგუნოთ ჩვენ ცალკე ჯგუფი. შემდეგ? ახლა გამოვაშორიოთ ცველა ის ცხოველები, რომელნიც დაფარული არიან ბალნით. და რადგანაც ჩვენ უკვე ვიცით, რომ სულ ცველა ბალნიანები თავის შეილებს კვებენ რიგით, ამიტომ იმათ დავარქეათ ძუძუმწოდარნი. ამავე მიზეზით და ამგვარადვე ჩვენ შევადგინოთ ცალკე ჯგუფი ცველა იმ ცხოველებისაგან, რომელნიც დაფარული არიან ქერტლით, ესენია თევზები.

შეხედეთ, ითქვენ წინ ქორჩილა. მე იმას ვაცლი ქერტლს, თითქო ვბურტყნიდე ფრინველს ან და ჩემი წვერიდან ვიგლეჯდე ბალანს, ახლა შეხედეთ გველხოკერას. მისი კანი დაფარულია წამონაზარდებით, მაგრამ მათი მოშორება შეუძლებელია, რადგან ეს თვით კანის ნაწილია. ჩვენ შეგვიძლია ის მოვგლიჯოთ კანთან ერთათ როგორც მეჭეჭები, მოშორება-კი არ შეიძლება, ასეთ მეჭეჭებს ქვია ცრუ ქერტლი. ცველა ის ცხოველები, რომელთაც აქვთ ასეთი ქერტლი, შევაგროვოთ ერთ ჯგუფათ და დავარქეათ მგლინავები.

ჯერ ჩვენ ძალიან შორს გართ ჩვენ მიზნამდე, კიდევ ბევრი ცხოველი დაგვრჩა გასანაწილებელი მხგავსი ნიშნების მიზნედეთ. უქედეთ, თქვენ გარშემო პაწაწა არსებანი ხტიან, რბიან, ცურაობენ და ფრინავენ. აქა ცოფის ჭიაც, ბალლიჯოც, კრაზანაც, პეპელაც, ფუტკარიც, ჭინჭველებიც, რწყილი, მახრა, ბზიკი, ბუზები. რომ დავთვალოთ ყველა ეს წერილმანი ცხოველები, დავინახავთ, რომ მათში არა ნაკლებ ორას ათას მოდგმა არის.


დაუკვირდით ცოტა უფრო ბეჯითად, დაინახავთ, რომ უკალა მათ ექცე-ექცესი ფეხი აქვთ. მაში ისინი მწერებია.

იმათ უნდა ამოუკუნოთ გვერდით თბობები, რომელთაც რვა ფეხი აქვთ.

ახლა მივმართოთ ცხოველთა იმ ჯგუფს, რომელთაც მოუკალათებიათ ხამანწკებში. ეს ლოკორიებია. ლოკორიები უთვალავ თავისი ნათესაობით შეაღვენენ ერთხამანწკებან რბილკანიანთა ჯგუფს.

ამათ ამოუკუნოთ გვერდით ორხამანწკეიან რბილტანიანები, რომელნიც უმეტესად არ იძრიან თავისი ადგილიდან, ასე რომ ზოგი უძრავათაა მიკრული რომელიმე კლდეზე, როგორც თხრია.

ვვონებ, ვიღაცას სურს კითხვა მომცეს ან და შენიშვნა. განა თქვენ გსურთ რაიმე სთქვათ ამ წესის შესახებ, რა წესითაც მე აქ ჩამოვთვალე ცხოველები?



გუბის ლოკორია.

— დიალ! აქ ჩვენთვის ყველაფერი არ არის გასაგები.

— რა გსურთ წინააღმდეგ თქვათ?

— თქვენ ძალიან დააშორეთ პეპლები ფრინველებს და დააყენეთ ისინი ბალლიჯოსთან. მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ექცე-ექცესი ფეხი აქვთ. ჩემი აზრით, ფრინველ-მწერი უფრო გავს პეპლას, ვიდრე პეპლა ბალლიჯოს, ორივე ისინი და-



ფრინავენ და შშეენიერად მოკაზმული არიან, ბალლიჯომ კი
მარტო სირბილი და ადამიანის კბენა იცის. ით წევი აშრია—

— ძალიან კარგი, შეიძლება კიდევ გაქვთ რამე სათქმე-
ლი, თქვით ბარემ ერთად.

— თქვენ ვეშაპი დააყენეთ ძალლებთან და ცხენებ-
თან, რაღაც ის დაფარულია ბალნით. ძალლს და ცხენს ოთხ-
თხი ფეხი აქვთ, ვეშაპს—კი—ორი საცურავი ფრთა, რო-
გორც თვეზებს. გარდა ამისა ლამურა ფრინველსავით დაფრი-
ნავს. ამიტომ უკეთესი იქნებოდა, ის ხარსა და დათვე კი არ
ამოუყენოთ გვერდში, არამედ მივათვალოთ ფრინველებს.

— პირველი შეხედვით თქვენ თითქო მართალიც ხართ.
მაგრამ ეს ასე არაა. მოიგონეთ ჩეენი პირველი საუბარი, რო-
ცა ჩეენ ვმსჯელობდით იმის შესახებ, თუ რა მოუვიდოდა
ბელურას გალიაში, მთელი წლის განმავლობაში რომ არაფე-
რი გვეპშევია: წლის ბოლოს ბელურას მაგიერ დაგვირჩებოდა
შეოლოდ ბუმბული და ძელები, დანარჩენი ნაწილები გახმე-
ბოდა, დალპებოდა და გაქრებოდა. იგივე მოუვიდოდა, ბელუ-
რას მაგიერ რომ დაგვეტოვებია თავვი, ხელიერ გინდ თევზი,
შეოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში ძელებს



ლამურას ნონჩი.

გარდა დაგვრჩებოდა ბუმბული, შეორეში—ტყავი, შესამეში—
ქერტლი.

ამ ნიორად თქვენ ხედავთ, ყველა ამ ცხოველებს სხეულ-ში აქვთ ძელები. ძელები ღამურასაც აქვს, ვეშაპსაც, უზრუ-სიტკებით, სულ ცველა ჟუქუმწოვართ, აგრეთვე ყუველ ფრინ-ველს, თევზს და მგლინავს. ახლა მიაქციეთ ყურადღება შემ-დეგ მოვლენას. თუ თქვენ თითზე იჩხელეტთ ქინძისთავს, მა-შინათვე გამოევანავს სისხლი, რომელიც, როგორც უკვი-იცით თქვენ, წარმოადგენს მოყვითალო სითხეს, სადაც მოთავ-სებულია უთვალიავი პაწაწი წითელი ბუშტი.

უჩხვლიტეთ ქინძისთავი ბელურას, ძალს, თევზს და თქვენ მიიღებთ იმგვარვე სისხლის წვეთს. ყველა ამ ცხოვე-ლებს და საზოგადოდ ყველა ძელიან ცხოველებს სისხლი ყო-ველთვის წითელი აქვთ. განიხილეთ ახლა პეპელა. თქვენ და-ინახავთ, რომ მას არ აქვს არც ძელები, არც წითელი სის-ხლი. იგივე ითქმის ბალლინჯოს შესახებ. გაშ ჩენ არავითარი საფუძველი არ გვაქვს, რომ ისინი ფრინველებს ამოუყენოთ გვერდით.

აიღეთ გამაღიღებელი შუშა, ლუპა და დახედეთ ბალ-ლიჯოს და პეპელას. ორივეს ექვს-ექვსი ფეხი აქვთ. ორივეს სხეული დაყოფილი აქვთ სამ ნაწილად: თავი, მკერდი და მუცელი. თქვენ ხედავთ, რომ ბალლიჯოს დიდრონი მრავალ-გვერდიანი თვალები აქვთ. თუმცა ჩეცულებრივ ბალლიჯოს არ აქვს ფრთები, სამაგიროდ არის ერთი მისი ახლო ნათესავი მცნარის ბალლიჯო (მყრალ-მყრალი).

მას აქვს თოხი ფრთა, როგორც პეპე-ლას. აქედან ცხადად სჩანს, რომ ჩენ დიდ შეცდომას ჩაეიდგნდით, პეპლები ფრინველებთან ერთად რომ დაგვეყი-ნებია და დაგვეშორებია ბალლინჯო-სათვის.

ახლა შევეხოთ ღამურას. შეუძლებელია ის ფრთინველთა რიცხვში მოვაჭიოთ. თუმცა ის დაფრინავს, მაგრამ მის ფრთებია და ფრინველების ფრთებს შორის შეტად დიდი განსხვა-ვებია, როგორც ეს უკვე შევნიშნეთ. ის შემოსილია ბალნით



მცნარის ბალლიჯო

და არა ბუმბულით. ის არ დებს კვერცხებს და თავის შეი-
ლებს კვებს რძით, ესე იგი ნამდვილი ძუძუმწოვარი ცხოვე-
ლია.

ვეშაპიც ძუძუმწოვარია და არა თევზი. მეთევზებს არა
ერთხელ დაუნახავთ, თუ დედალი ვეშაპი როგორ აწოვებდა
ძუძუს თავის შეილებს. მართალია, მხოლოდ ორი ფეხი აქვს
და ეს ორი ფეხიც საცურავ ფრთების მზგავსად აქვს გაბრტყე-
ლებული; მაგრამ ამნაირივეა სელაპის წინა თათები და სე-
ლაპზე ხომ არავინ იფიქრებს, თევზი არისო. რაც შეეხება
კუდზე მომწყველეულ საცურავ ფრთას, ის არ გაეს თევზისას.
ვეშაპს კუდის ფრთა აქვს დაწვენილი, ხოლო თევზს დაყუ-
დებული.

განვიხილოთ ამნაირადვე სხვა ცხოველებიც, რომელთა
შესახებ ჩვენ აქ ლაპარაკი გვქონდა. აღმად ყველა თქვენგანს
სჭერია ხელში თევზი, ბაყაყი ან ხელიკი. უსათუოდ თქვენ
იყრძნობდით, რომ ისინი ციფია. ამგვარივე შთაბეჭდილებას
მიიღებთ, თუ თყვანთ ჭიაყელას და მატლს. რას გვეუბნება
ეს? ეს გვეუბნება, რომ ამ ცხოველების სხეულის ტემპერატუ-
რა ჩვენი სხეულის ტემპერატურაზე უფრო დაბალია, ამიტო-
მაც ამ ცხოველებს ეძახიან ციფისხელიანებს. თუ თქვენ შე-
ექებით ფრინველს, გინდ რომელიმე ძუძუ მწოვარს, მაშინ ამი-
სთანა განსხვავებას ვერ შენიშნავთ. ისინი ისეთივე თბილსის-
ხლიანი ცხოველებია, როგორც ჩვენ.

ციფ სისხლიანი ცხოველები, ქვის გინდ ხის ნამორის მსგავ-
სათ, ყოველთვის იმავე ტემპერატურის არიან, როგორისაც
არის მათი არე (წყალი ან ჰაერი). პირიქით თბილსისხლიან
ცხოველების ტემპერატურა ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდ-
რე მათი არეს ტემპერატურა; იმავე დროს მათი ტემპერატუ-
რა ყოველთვის ერთნაირია. პოლიარულ ქვეყნებში მცხოვრე-
ბი თეთრი დათვის ტემპერატურა და ეკვატორთან მცხოვრები
მაიმუნის ტემპერატურა ერთნაირია. ერთი და იგივე ადამიანს
აქვს ერთნაირი ტემპერატურა (ას გრადუსიან ტერმომეტრით
36 $\frac{1}{2}$ ⁰) სულ ერთია იმყოფება ის კუნძულ შიობერგნზე 48

გრადუსის სიციეული თუ გაბონს 40 გრადუსის სიცხვეშე. ოთკა საქმარისად გაიცნობთ ფიზიკას და ქიმიას, მაშინ ადგენილია გაიგებთ ამ საყურადღებო მოვლენის მიზეზს. დღეს კი დამტკრისტენეთ მე, რომ ეს მართლა ასეა.

აგრძელებე მე ვამტკიცებ, რომ ვეშაპი თბილ სისხლიანი ცხოველია, თევზებს კი ცივი სისხლი აქვთ. აქედან ჩანს, რომ შეუძლებელია ვეშაპი თევზო-შორის ჩაერიცხოთ.

მაშ, მე მგონია, თქვენ საქმარისათ დარწმუნდით, თუ რა შეცდომებს ჩავიდენდით, რომ მოვევნდომა ცხოველების ჯგუფებათ დაყოფა მათი გარეგანი მსგავსების მიხედვით; აგრძელებ თუ რა ძნელია ცხოველების სისწორით ჯგუფებათ დაყოფა, ანუ როგორც მეცნიერები იტყვიან, მათი კლასიფიკაცია.

ამიტომ დავანებოთ თავი ჩეენ ცდას, რომ შევადგინოთ ჩეენი საკუთარი კლასიფიკაცია; უკეთესი იქნება ვისარგებლოთ იმ კლასიფიკაციით, რომელიც შეუმუშავებიათ მეცნიერებს.

ამ მეცნიერებმა, რომელთაც ეძინიან ზოოლოგებს შეერთეს ერთ დიდ ჯგუფად სულ ყველა წითელ სისხლიანი და ძლევებიანი, ანუ ჩინჩინიანი ცხოველები. იმით უწოდეს სახელით ხერხემლიანები შემდეგი მოსახრებით.

ცხოველის ჩინჩინი შემდგარია სამი ნაწილისაგან: სამოძრაო ძვლები, ტანის ძვლები და თავის ძვლები.

თუ ცხოველს არ აქვს სამოძრაო ორგანოები, როგორც მაგალითად გველს და ზოგიერთ თევზს, მაშინ თავის თავით დაგერჩება მხოლოდ ტანის და თავის ძვლები. ტანში ძვლები ჩამწკრივებულია განუწყვეტელ რიგზე ძივებივით. ცალ-ცალკე ამ ძვლებს ქვია ძივები, ხოლო ერთათ ხერხემალი. ტანის შეანწილებული კვი შეერთებულია ორ წიბოსთან, ერთია მარჯვნით, მეორე მარცნით.

ასეთია საზოგადოთ სულ ყველა ხერხემლიანთა ჩინჩინი, მიუხედავათ მათი გარეგანი განსხვავებისა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხერხემლიან ცხოველებს ეკუთვნიან არა მარტო ძუძუმწოვარნი, არამედ აგრძელებე ფრინველები, მგლინავები, ქვემძროში და თევზები.

ზემო ნათქეამით საქმიანისათ დავახასიათეთ პირველი ჯგუფი ხერხემლიანთა. იმათ შემდეგ უნდა მოვათავსოთ ყველა ის ცხოველები, რომელთა ტანი შემდგარია ჩამწკრივებულ რეკლემისაგან. ზოგიერთ მათგანში ეს რეკლემი ძალიან ემზავს გებიან ერთმანეთს, ზოგიერთში კი საგრძნობლათ განსხვავდებიან. როგორც მჩავალფეხაში ისე მორიელში თქვენ აღვილათ შენიშვნათ ამ ერთი-მეორეს მიმყოლ რგოლებს. ამ საფუძვლით ზოოლოგებმა შეაღვინეს ერთი ჯგუფი, რომელსაც დაარქვეს ჯგუფი სახსროვანთა. სახსროვანთა ჯგუფის თითქმის სულ ყველა წარმომადგენლები დაფარული არიან მავარი კანით, როგორც, მაგ., კიბო ან კოფის ჭია.

არის ბევრი ცხოველი, რომელთაც ნაზი ლომაწოიანი კანი აქვთ და რბილი სხეული. იმათ დაარქვეს რბილ სხეულიანები ანუ ლოქურიები. უმეტესი მათგანი მტრისაგან დაცული არიან ხამაწკებით, რომელნიც მათ მიმავრებული აქვთ კანზე და რომელებშიც მარდათ იმალებიან ყოველ ხიფათის მოლოდინში.

ამღა უნდა დავახახელოთ კიდევ უფრო თავისებური ცხოველები, რომელნიც ხშირათ ყვავილს წაიგავან. აქიდანვე წარმოსდგა მათი სახელი ზოოფიტები (რაც ნიშნავს ცხოველ—მცენარეს) ანუ სხივისმაგვარი ცხოველები.

ის ის ოთხი ჯგუფი, რომელთა შორის დანაწილებულია ცხოველთა სულ ყველა მოდგმა. ეს ჯგუფები თანასწორათ როდი არიან განაწილებული, იმის შიხედვით, თუ რამდენი მოდგმაა ამა თუ იმ ჯგუფში. ყველაზე უფრო მეტი მოდგმა შედის სახსროვანთა ჯგუფში, რომელიც შეიცავს ურიცხვ მწერებს.

კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ წინ კლასიფიკაციის შესასწავლათ, რომ უფრო მეტი წესიერებით გვანაწილოთ სულ ყველა ცხოველები, რომელთა შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ დედამიწის ყველა ნაწილების ფაუნის დათვალიერების დროს.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ხერხემლიანებს შეაღვენენ ძუძუმწოვარნი, ფრინველები, მგლინავები, ქვემძრომნი და თევზები.

ძუძუმწოდარნი ყოველთვის შემოსილი არიან ბაღნირთ; თითქმის სულ ყველა მათგანს აქვს კბილები და სულ ყველაზე ნი თავის შეიღებს აწოვებენ ძუძუს. ეს თბილ სისხლიანი ცხოველებია. გარდა ამისა სულ ყველა ისინი სუნთქვენ ჰაერით გაშინაც კი, როცა ცხოვრობენ წყალში, მაგალითათ, ვეშაპი, რაც თქვენ უკვე იცით.

ძუძუმწოდართა შორის გავაჩიტეთ შემდეგ ბუნებრივ ჯგუფებს: 1) **ადამიანი:** თეორი, ყვითელი, შავი და სხვ. 2) **მამუნები:** პირველი ადგილი მათში უჭირავთ ჰორილის და ჩიმპანზებს აფრიკაში, ორანგუტანგს და გიბონს აზიაში. შემდეგ დავასახელოთ ამერიკის ურიცხვი ჩვეულებრივი მაიმუნები, რომელნიც მეტათ მარდათ ეკიდებიან კუდით ხის ტოტებზე, პავიანები, აფრიკის უკუდო პატარა მაიმუნები და ურიცხვი ბრბონები ფინია მაიმუნებისა, რომელნიც ცხოვრობენ ტროპიკულ ქვეყნების ტყეებში. მადაგასკარის კუნძულზე ცხოვრობენ ლემურები, რომელნიც ახლო დგანან ნამდვილ მაიმუნებთან, ხოლო სამხრეთ ამერიკაში—უისტიტი.

3) **ლამურები,** რომელთაც ხელები ფრთებათ გარდაქმნიათ.

4) **მთაცებლები,** რომელნიც შეიარაღებული არიან მკრელი კბილებით და ბას-



ლ ე მ უ რ .

რი ბრქალებით. იმათში ბრძოლისათვის საუკეთესოთ მოწყობილი არიან: კატები—ლომი, ვეფხვი, ავაზა, პანტერა, ფოცხვერი, კატა და სხვ.; ძალლები, მგელი, ტურა, მელია და სხვ.; აფთრები, დათვები, მაჩვები, კვერნა, ყარყუში, დედოფალა და სხვ.

5) **სელაპები** ანუ ფეხნიჩიანები; ეს მტაცებლები წყალში

საცხოვრებლით არიან მოწყობილი. მათ შორის არჩევენ ჩოდი-
ლოეთის ზღვების მორებს და ნამდვილ სელაპებს რომელთა
ურიცხვი მოდგმა შეგხვდებათ დედა მიწის სულ ყველა ზღვებში.

6) მწერის-მჭამლები; მათ აქვთ პაწაწია ბასრი კბილები,
რომელთა შემწეობით ხვრეტენ მწერების მავარ ხექოს. ცხო-
ველთა ეს კლისი ადამიანისთვის მეტათ სასარგებლოა. მათში
უფრო ცნობილია: ზღარბი, ოხუნელა.

7) მღრღნელები, რომელთაც პირის წინა ნაწილში აქვთ
გრძელი კბილები. იმ კბილების შემწეობით ისინი ადვილათ
ლრონიან ფესვებს, ქერქს, ხის ტანს და საზოგადოთ მცენარის
სულ ყველა ნაწილებს. მათ ეკუთვნიან თრითინა, ზაზუნი, რო-
მელიც ზამთრობით იძინებს თავის სოროში, ვირთაგვები (ვირ-
თაგვა, სახლის და მინდვრის თაგვები), ციყვი, კურღლელი,
წავი თავისი ქერტლიანი კუდით, მაჩუ-ზღარბა თავისი გრძელ
ქაცვებით, წვიოსნები, რომელთაც აქვთ გრძელი უკანა ფეხე-
ბი და ბევრი სხვა მოდგმანი.

8) სპილოები, რომელთა შორის მხოლოდ ორი მოდგმაა:
აფრიკის და აზიის სპილო.

9) სქელეკანიანები: პიპოპოტამი, მარტორქა, ტაპირი და
ველური ღორი.

10) ცხენები: აფრიკის ზოლებიანები (ხარა-ბუზა, დაუ)
და აზიის (ცხენი, ვირი და სხვ.)

11) მცონავები. ამა დაუკუირდით ძროხს, რომელიც
შეკიდათ წევს დედამიწაზე. თქვენ პირველ შეხედვით გვინე-
ბათ, თითქო სძინავთ. მაგრამ თუ უფრო კარგად დაუკუირდე-
ბით, შენიშნავთ, რომ ის იცონის, რისთვისაც ქვედა ყბას
ანძრებს ხან მარჯვნით ხან ჩარჯვნით. ის კონის, თითქო ხელ-
მეორედ კამს იმ ბალახს, რომელიც ჩქარა ჩაყლაპა ცოტა ხნის
წინეთ. საჭმლის მომნელებელ ორგანოები ისე აქვს მოწყობი-
ლი ძროხს, რომ მას შეუძლია ამოიცონოს, უკან დაიბრუ-
ნოს პირში პატარ-პატარი კერძებათ წინეთ ჩქარა გადაყლაპუ-
ლი საჭმელი. ის ჯერ გაივსებს კუჭს საზრდოთი, შემდეგ დაწ-
ვება და საფუძვლიანათ დაცოხნის ხელმეორეთ ნაწილ-ნაწი-

ლათ წინეთ გადაყლაპულ საზრდოს. ხელმეორეთ დაცუხნის შემდეგ ბალახი აღვიღო მოსანელებელია და კიდევ ყლაპავს ძროხა მას საბოლოოთ. ასეთი წესი საზრდოობისა მეტათ მოხერხებულია ისეთი მხდალი არსებათათვის, როგორიცაა ყველა მცოხნავები. იმათ თითქო აქვთ შინაგანი საკუჭნაო, რომელსაც სიჩქარით ავსებენ საჭმლით, შემდეგ-კი მოსვენებით, აუჩქარებლით სარგებლობენ დაზოგვილი საზრდოთი. ზოგ მცოხნავებს რქები აქვთ შიგნით გამოფუტურებული (რქაფუტუროიანები); ხოლო რქა დაყდნობილია ძვლის საფუძველზე. მათში ყველაზე უფრო ცნობილია:

ხარი, ცხეარი, თხა ჯიხეო და სხვ.

ზოგ მცოხნავებს აქვთ მცვრივი რქა, ცოტა თუ ბევრათ გაფორჩხვი ლი. ეს რქები მათ ყოველ წლობით ეცვლებათ: ძველი მოვარდება და მის ადგილს ამოდის ახალი. ჩრდილოეთის ირემის გარდა, ამ მცოხნავთა დედლებს არ აქვთ რქები. რქა ფორჩხიანებს შეადგინენ ჩრდილოეთის ირემი, ქორბულიანი და ირემთა ურიცხვი მოდგმა — შველი და სხვ.


ზოგ მცოხნავთ აქვთ ჰატარა რქები, რომელთაც ზევილან გადაფარებული აქვს ტყავი, ასე აქვს, მაგ., ეკრაფს. არიან ისეთებიც, როგორც მაგ., კამარგა, რომელთაც შუბლზე რქის ნატამალიც არ ატყიათ.

12) აქლემებიც ხელმეორეთ ღეპავენ საზრდოს, მაგრამ მიუხედავათ ამისა იმათ გამოყოფთ ცალკე ჯგუფათ. აქლემთა რიცხვში შედიან: ნარაქლემი, ანუ დრომადერი, ორ კუზიანი აქლემი, ლამა და ამერიკის ლამები — ალპაჯა და ვიგონი.

13) უკბილონი ანუ უკეთ ვთქვათ არა სრულ კბილოვანები; იმათ მეტათ ცოტა კბილები აქვთ, ან და სრულიათ არ-



თხის რქები.



ირმის რქება.



აქვთ. ეს ცხოველები შეტათ ახირებული არიან. მათი ახირებულობა გამოიხატება ან მოძრაობაში, როგორც შაგუაზერთებულის შეჯინჭვლება და იფრიკის მიწის მოხრელია, ან და ქერტლში, რომელიც ფარავს მათ სხვულს, მაგ., ჯავშნოსანი, სამ თითა ხვლიკი.

დღვევანდველი უქბილონი მექინჭვლებს გარდა სულ ყველა პატარა ტანის არიან. ხოლო გეოლოგიურ ეპოქებში სამხრეთ ამერიკაში ცხოვრ ბდენ სპილოს ოდენა უქბილონი.

14) უბიანები ანუ ორმუცლიანები. ამ ცხოველებს მუკულზე აქვთ განსაკუთრებული ჩანთა. სულ ყველა ეს ცხოველები გარდა ამერიკის ორ უბიანისა ცხოვრობენ ავსტრალიაში. ზოგი უბიანი მტაცებელია, მწერის მჭამელი, ზოგიც ბალახის მჭამელი. მე უკვე გესაუბრეთ ორმუცლიანთა, კენგურუს, ინკუნირას, ექიდნაზე და სხვ.

15) ვეშაპმაგვარნი. ამ ძუძუმწოვართ აქვთ ორი სამოძრაო ორბანო, ცხოვრობენ ისინი სულ წყალში. ზოგი მათგანი ბალახის მჭამელია, ამათ არ აქვთ წყლის გამოხასვრელი ნახერეტი, ამის გამო იმათ არ შეუძლიათ წყლის გამოსროლა, როგორც ვეშაპს და ლელფინს. ასეთია ატლანტის ოკეანეს თბილ ნაწილებს მცხოვრები ლამანტინი და ინდოეთის ოკეანეს დიუგონი.

ზოგიც ხორცის მჭამელია ანუ, უკეთ ვთქვათ. თევზის მჭამელი, შეიარაღებული არიან ბასრი კბილებით. ასეთია დელფინი, ბარტორქა და ვეებერთელი კაშალოტი, რომელიც ხშირათ ვეშაპსაც გადააჭარბებს სისხოთი. აქვე დაესახელოთ ნამდვილი ვეშაპი, პატარა ზოლიანი ატლანტის ოკეანესი და სხვ. ამ ცხოველებს კბილების მაგიერ აქვთ ღვენთქი ფირფიტები, რომელნიც მიმაგრაბულია ზედა კბაზე. ცხოველი დაალებს პირს, გაივსებს ზღვის წყლით, შემდეგ პირს დახურავს, წყალი გარეთ გამოვა, ხოლო პირში დარჩება არა ერთი ზღვის ცხოველი, რომელიც შეადგენს მის საზრდოს. ამ ფირფიტებს ეძახიან ვეშაპის ულფაშებს.

იხლა გადავიდეთ ფრინველებზე.

ფრინველები. ფრინველს კანი დაფარული აქვს. ბუმბულით. თითქმის სულ უველა ფრინველს შეუძლია ფრენა, გარება და ამისა მათ აქვთ მაგარი ნისკარტი, რქის ნივთიერების. ამ ცხოველებს აქვთ თბილი სისხლი, სუნთქვეენ ჰაერით, როგორც ძუძუმწოვარი. ფრინველი სდებს კვერცხებს, რომელთაც გარედან აკავს კირიანი ლენჭო. უმეტესათ ფრინველები ბუდეში ჩეკვენ კვერცხებს.

ფრინველები განიყოფებიან შემდეგ რაზებათ.

1) **მტაცებლები,** ნისკარტი აქვთ მოკაუჭებული, თითებზე მაგარი ბრჭყალები. მათი საზრდოა:

ფრინველები, ძუძუმწოვარი, მყლით ნავები და ზოგიერთი თევზიც.

მტაცებელ ფრინველებში ზოგი—დღის ფრინველია, როგორც, მაგ. არწივი, შავარდენი, ქორი, ძერა და სხვ.; ზოგიც ღამის ფრინველია, როგორც მაგ., ბუ, ქორი და სხვ.

2) **ბაიყუშები:** მეტათ საყურადღებო და კეციანი ფრინველებია, აქვთ მსხვილი ნისკარტი და მსუქანი ენა. მათში შესამნევია ბაიყუში—არა, კაკალუ, ჰატარა თუთიყუშები და სხვ.

3) **მტრედები.**

4) **ქათმისმაგვარნი.** აქ დაცასახელოთ ისინი, რომელნიც მეტათ ახლო ენათესავებიან წვეულებრივ ქათამს: ხოხობი ფარ-შავანგი, გნოლი, ციცარი.

5) **წვივოსნები.** მათ აქვთ გრძელი ტიტველი ფეხები, რომელნიც შეძლებას აძლევს მათ ჩადგენ ლრმა წყალში, გინდ ჭაობში და ინადირონ თევზებსა და ქვემძრომებზე. უმეტეს ნაწილით ისინი ჭაობის ან ნაპირების ფრინველები არიან, იმათ თავისუფლათ შეუძლიათ მოუხრელათ დაიკირონ თევზი, რაღაც მეტად გრძელი კისერი აქვთ და ხშირად მასთან ისევე გრძელი ნისკარტი. წვივოსნებს ეკუთვნიან: ყარყარი, ყანჩა,



არწივის თავი და ფეხი.

წერო, ცხრა ტყავა, ფლამინგო, წყლის ქათამი, სარსარაკი და სხვ.

6) სირაქლემები: მათ ფრენა არ შეუძლიათ. ექ როინი
აფრიკის სირაქლემა და მეტრიკის ნანდუ, ავსტრალიის კაზუარი
და ჩიჩქნიანი კაზუარი, რომელიც ცხოვრობს ზონდის კუნძუ-
ლებზე. სირაქლემების ჯგუფს აკუთვნებენ ავრეთვე ახალ ზე-
ლანდიაზე მცხოვრებ კივი-კივის.

7) მცურავები: ამ ფრინველებს ფეხის თათები გაბანდუ-
ლი აქვთ აპეკით. ისინი წარჩინებულიათ
ცურაობენ, როგორც, მაგ.: იხვები, ბა-
რები და სხვ. ზოგიერთმა მათვანმა ჩი-
ნებული ფრენა იცის, მაგ., ალბატროსი,
ფრევატი, მეთოვლია, და სხვ. ზოგს სრუ-
ლიათაც არ შეუძლია ფრენა, მაგ.,
ჩრდილოვარის ზღვების წმენდიას და სამ-
ხეოთის ზღვების უფრთოს.




აპეკინი თათი.

ფრინველთა შემდეგ
დავასახელოთ მგლი-
ნავები.

მგლინავები იჩიან
ციკ სისხლიანი ხერ-
ხემლიანები, აქვთ ფა-
რუკები და ცრუ ქერ-
ტლები, სუნთქვავენ
ჰაერით. დებენ თხელ
კანიან კვერცხებს და
გარდა პიტონის ერთი
მოდგმისა არც ერთი
კვერცხს არ აჯდება და
არ ჩექს.

მგლინავებს ეკუთვ-
ნიან:

1) კუები. კუ და-
ფარულია ჯავშანით,



რომლის ბოლო ნაწილები წარმოსდგება წიბოს გავაგანიერებით. ზოგი კუ ცხოვრობს ხმელეთზე და ფარი ზურგზე მეტათ მოკუჭული აქვს, ასე რომ ფეხით რომ დაადგეთ ზურგზე, კრავეოს ავნებთ, ზოგიც ცხოვრობს წყალში. წყლის კუს ზურგის ფარი აქვს პრტყელი, რის გამო უფრო ეადვილება ცურვა საცურავათ გადაქცეულ თათების შემწეობით.

2) ხვლიკები. ამათ თქვენ სულ ყველანი კარგათ იცნობთ. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ხვითქზე, ხვლიკზე, ურჩხულზე, ქამელობნზე.

ქამელონის ერთი მეტათ ახირებული მოდგმა ცხოვრობს ხმელთა შევა ზღვის ნაპირებზე. თუ ამ ცხოველს გავალიზანებთ, მაშინ იმას კანის ფერი ეცვლება, ამნაირათ ქამელონი მიიღებს ან ცის ფერს, ან მწვანეს, შავს, ყვითელს, ან წითელ ფერს.

ზოგ ხვლიკს ფეხები მეტათ მოკლე აქვთ. ზოგს-კი სრულიათაც არ აქვს, როგორც, მაგ., ზლოკეს, რომელსაც შეცდომით გველს ეძახიან. ასეთი ხვლიკები საზოგადოთ ძალიან ემზგავს ცხიან გველს.

3) ჩვენ უკვე ვიცით, რომ ზოგი გველი შეამიანია: მაისის გველი, ქლარუნა გველი, ასპისი და სხვ., ზოგი კი უშამოა, ასეთია, მაგ. შარჩიობელი, პიტონი, გველხოკერია და სხვ.

ხშირათ შელინავებს და ქვემდრომთ ურცვენ ერთმანეთში, მათი ერთმანეთისაგან გარჩევა კი უსათუოთ საჭიროა. ქვემდრომი დაფარული არიან ტიტველი კანით და იმავე დროს იმათ აქვთ გარდაქმნა, რაც წინეთ გიამბეთ. უსრულეს გარდაქმნას განიცდის ბაყაყი. თავკობალა სუნთქვას ჰაერით, რომელიც გახსნილია წყალში, ბაყაყი კი — ატმოსფერის ჰაერით. ქვემდრომთა შორის ზოგი მოწიფეულობაში კარგავს კუდს, როგორც, წყლის სალამანდრა ანუ ტრიტონი, ქართ. მაგ., გომბიო და ბაყაყი.



წყლის სალამანდრა ანუ ტრიტონი, ქართ.
უნახავი.

სხვებს-კი რჩებათ კუდი მთელ სიცოცხლეში, ასე, მაგ, სა-
ლამანდრის და ტრიტონს. ზოგი ქვემძრომი მთელ სიცოცხლე-
ში ირჩებს უნარს წყალში სუნთქვისა გარედა ლაყუჩების შე-
წყობით. ასეთია პროტეი და აქსოლოტლი, ქვემძრომნი წარ-
მოაღვენენ ბუნებრივ საფეხურს თევზებისაკენ.

თევზებს აქვთ ნამდვილი ქერტლი და ცივი სისხლი. ისი-
ნი ყრიან ქვირითს, მაგრამ არ განიცდიან გარდაქმნას და
მთელ თავის სიცოცხლეში სუნთქვავენ წყალში გახსნილ ჰაერს
ლაყუჩებით.

თევზები მოძრაობენ საცურავ ფრთების შემწეობით. ამ
ფრთებში ზოგი წყვილ-წყვილათაა და ხელ-ფეხის მავიერობას
ეწევა, ზოგიც თითო-თითოა და სახელით ქვია: ზურგის, კუ-
ლის და უკან გასავალის ფრთები, იმის მიხედვით, თუ რა ად-
გილი უჭერია.

თევზების მოდგმები მეტათ მრავალია და ამასთან თავისი
გარევანი ნიშნებით მრავალფეროვანია, ამიტომაც თევზების
კლისიფიკაცია ძალიან ძნელია.

1) ბევრ თევზს ზურგის ფრთა აქვს ქაცვიანი; ასეთია
ქორჩილა, შუბოსანი და სხვ. ეს ჯე-
ფი შეაღვენს ყველა თევზების ნახევარზე
მეტს.

2) სხვებს ზურგის ფრთა რბილი აქვთ.
ასეთია მწერი (ქარყლაპია) ჭანარი, ლლავი (ლოქო), კალმახი,
ქაშაპი, ეირთევზა და სხვ.

3) ზოგი თევზი სულ ბრტყელია. ასეთი თევზი იმითაა
სინტერესო, რომ ორივე თვალი ერთ კედაროს აქვს. უთვა-
ლო მხარე ყოველთვის თეთრია და მოქცეულია ქვევით, ასე-
თებია: ზღვის ენა, კარილა, სეია და სხვ.

4) ზოგ თევზს სხეული გაგრძელებული აქვს, ასე რომ
წააგვის გვეღს. ასეთ თევზს მხოლოდ ერთი წყვილი სამოძრაო
ორგანო აქვს. ასეთია გვეღ-თევზები: მტკნარი წყლის, ზღვის
და ელეკტრონის, რომელიც ცხოვრობს საშერეთ ამერიკის
ზღვებში.



5) სხვა თევზები შეტათ თავისებური არიან გარეგანი ხა-
ხით და სხეული თითქო ყუთში აქვთ მომწყვდეული და მოტკული
მაც იმათ ეძახიან ფოდორის. ამავე ჯგუფს ეკუთვნის ცხენურა
და სხვა ახირებული აზისებანა.



ზღვის სხენება.

6) ზორი სიცოცხლის განმადგენლებს) აქვთ ურიცხვი პატარა ნეშის მსგავსი ძვლები,
რომელთაც ვეძახით ფხას.

7) პირიქით არის ისეთი თევზები, რომელთაც წონჩის მოე-
ლი სიცოცხლის განმადგენლებაში აქვთ რბილი, ხინტრისებურ
მდგომარეობაში. ასეთებია;

8) ზუთხი. საყურადღებოა იმით, რომ პირი უკბილო
აქვს, ხოლო სხეული დაფარული აქვს ძვლის აბზინდებით.

9) ზვიგენი, რომელსაც იქით-აქეთა აქვს ხუთ-ხუთი ნა-
ხერეტი და არა თითო, როგორც ყოველ თევზს; ზვიგენთა რი-
ცხვში შედის: ზვიგენი, ხერხ-თევზა.

10) სვია. ეს თევზი ზვიგენის მონათესავეა, მხოლოდ სხე-
ული ბრტყელი აქვს; სვიებში საყურადღებოა ელეკტრონის
სვია, რომელიც ბლომათ ცხოვრობს ხმელთა შვა ზღვაში. ამ
თევზს შეუძლია საგრძნობელი ელეკტრონის ძალის მოცემა.

11) მინოვა. არ აქვს საყურავი ფრთები, პირი მიუვას
სისხლის გამოსაჭრელ ჰიქას, რქის ნივთიერების კბილები აქვს.


აქ ჩამოვთვალე ხერხემლიანთა უმეტესობა, რაც შეეხება
დანარჩენ ცხოველებს, იმათ შესახებ ჩვენ საუბარს შინკც და
შაინც ვერ გავაგრძელებთ.

სახსროვანებს ეკუთვნიან მწერები, მრავალფეხიანები,
ობობასმაგვარნი, კიბისმაგვარნი და ჰიები.

მწერებს, როგორც წინეთ ვაშთობდი, აქვთ ექცე-ექცვი
ფეხი და სამი ნაწილისაგან შემდგარი სხეული. ეს ნაწილებია:
თავი, მკერდი და მუცელი. თავზე შენიშვნათ ორ წვერს და
მათ გვერდით მრავალგვერდიან თვალებს. მკერდზე, სამი წყვი-

ლი ფეხი აქვს და ხშირათ ერთი ან ორი წყვილი ფრთა. მუჭ-
ცელზე არავითარი სხვა
ორგანო არამარტინი
მწერი განიცდის გარ-
დაქმნას.

მწერების რაოდენობა
აურაცხელია. მიკრომ
მათი კლასიფიკაცია მე-
ტათ რთულია. ჩვენ მხო-
ლოდ შემდეგ ჯგუფებს
დავასახელებთ:



რამდენიმე ნაწილათ დაყოფილი მწერი.
მეღ., მაგ., მლილი და ირემა ბუზი, დანარჩენები კი მტაცებ-
ლებია; ასეთია ბოვრი.

2) კალია და მისი მონათესავე ქოფო-მკალები, გველის-
სავარცხალა. ფხიქუა. ამ ბალახის მქამელთა ჯგუფში მეტათ
ახორებულ გარევნობის მქონე მწერები შეგხვდებათ.

3) ჭრიჭინები, რომელთაც ეკუთვნიან კუდ-დანდალა და
ერთდღიურა, რომელიც მხოლოდ ერთ დღეს ცხოვრობს.



კ ა მ ე ჩ ა ვ ა

4) კამეჩავა, რო-
მელიც ჭიებს შახეს
უგებს სილაში პატა-
რა მწერებს. მასვე ეკუ-
თვნის ბოლომკალა.

5) ფუტკრები, ბზი-
კი და სხვ. ისინი სულ
ყველანი ცხოვრობენ

საზოგადოებრივათ. აგრეთვე საზოგადოებრივათ ცხოვრობენ მრ- / ურიკოცლია 2020 წლის 10 მაისი



კ რ ტ ა რ ე ბ ი.


ან პეველები. დასახელებულ ჯგუფს ეყუთენიან სულ უცე-ლა შხამიანი მწერები.

6) პეპლები მოკაუჭი-ბული ხორთუმით და სიფრიფანა ქერტლით ფრთებზე. პეპლებია დღის. დღის პეპლებს მშვენიერათ იჭრელებული ფრთები



კ რ ტ ა რ ე ბ ი.

აქვს. თუ პეპლება წყნარიად ზის, ფრთები ზევით აქვს აწეული. შემდეგ ღამის და ბინდის. ზოგ პეპლებს დასვენების დროს ფრთები გაქიმული აქვთ ან და სახურიავსავით ჩიმოშვებული.



კ რ ტ ა რ ე ბ ი.

7) ფრთოსანი ან უფრთო ბალლიჯოები და მყრალა-მყრალა. ბალლიჯო თავისი ხორ-თუმით განხველებს ცხოველის ხორცს და წუწნის სისხლს. მე-ორე-კი ხვრებს მცენარეს და იქიდან იწუწნის მასაზრდოებელ წვენს. ამათვე გუნდს ეყუთენის რწყილი და ერთხმაზე მომ-ღერალი ჯუჯუმკალა, აგრეთვე კოშენილი და ფილოქსერა.

8) ორ ფრთხოვანი შწერები, კოლოები და სხვ. ზოგი მათგანი ვნებას აძლევენ ჩვენ შინაურ ცხოველებს. პუშჩინის ნამ თესავი ბაზი სლებს კვერცხებს ცხენის ცხვირის ნესტორში. და-დებილ კვერცხებიდან გამოსული მატლები ჩადიან კუქში და აქ მიეკვრიან კუდლებს და იზრდებიან.

9) პარაზიტები, ასეთია, მაგ., სხვა და სხვა ნაირი ტი-ლები, რომელნიც ცხოვრობენ ადამიანის და იგრეთვე ძუძუ-შწოვართა და ფრინველების სხეულზე.

10) ქერტლიანები, პატარა შწერებია, უფრთო, დაფარუ-ლი არიან იმ გვარადვე, ქერტლით, როგორც პეპელის ფრთე-ბი. ჩვეულებრივ მათში ბრწყინვალე სხეული აქვს, მეტათ სწრა-ფია და ძალიან ხშირად შეგხვდებათ საღარიში ან შაქრის თა-ვის ქვეშ, ამიტომაც მას დაარქვეს შაქრის ქერტლიანა.

შრავალფეხას სრულიათ არ აქვს ფრთები და მყაფიოთ გამოხაზულ თავზე აქვს ორი ულფაში. ზოგიერთ მათგანს თავს ქვემოთ აქვს ძლიერი და ძალიან ხშირათ შხამიანი მარწუხი. შკერდი არაფრით განსხვავდება სხეულის დანარჩენ ნაწილები-საგან. ფეხები აქვს არა ნაკლებ ცხრა წყვილისა.

ობობებს ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ობობამაგვართ, აქვთ, როგორც უკვე გითხარით, ოთხი წყვილი ფეხები. თავი გაერ-თიანებული აქვა შკერდთან. თავზე აქვთ ორი ულფაში, რო-მელიც ხშირათ დაბოლოებულია მარწუხებით.

ნამდვილ ობობას პირთან აქვს შხამიანი ჩანგლები, ხო-ლო სხეულის ბოლოში ისეთი ასო, რომელიც გამოიცილებს აბრეშუმის მსგავს ძაფებს. ამ ძაფებით ობობა ბლანდავს ქსელს. თუ ახლო დაუკვირდებით ობობას ქსელს, თქვენ დარწმუნდე-ბით, რა ხელოვნებითაა ის მოქსოვილი და რა რსტატურათ სარგებლობს ობობა ამ ქსელით შწერების დასაჭრათ.

მოჩიერები არ ამბენ ქსელს. ისინი ხოცენ თავიანთ შხევრპლს ერთგვარ შხამიან ორგანოს შემწეობით. ამ ორგა-ნოს შესახებ ჩვენ გვქონდა საუბარი. ობობამაგვართ უნდა მი-ვათვალოთ ბლერი, რომელიც ედება ადამიანს და იგრეთვე ბევრ ცხოველს.

მწერები, მრავალფეხები და ობობამაგვარნი ართამ ჰაერის რის ცხოველები; ისინი ცხოვრობენ ხმელეთზე და სუნთქვეებისა ატმოსფერის ჰაერს.

კიბომშაგვარნი პირიქით თითქმის სულ ყველა წყალში ცხოვრობენ და სუნთქვეები წყალში გახსნილ ჰაერს. მათი ღენჭო მაგარია და ხშირათ კირიანი. კიბომშაგვართ უმეტეს შემთხვევაში აქვთ ბევრი ფეხი. მათში უფრო ცნობილნი არიან კიბო და ცხრაფეხა.

კიბომებს (მდინარის კიბო, ზღვის კიბო) აქვთ ათი ფეხი, გრძელი ულუაშები, ახირებული მოძრავი თვალები და დიდი კუდი. კიბო შესანიშნავია იმით, რომ შეუძლია დაბევით სიარული. შევნიშნოთ აქ, რომ კიბოს კუდი არის მუცლის გაგრძელება. ამაში იღვილათ დარწმუნდებით მოხარულ კიბოზე. ნაწლევები კუდს გაყოლებული აქვს ბოლომდის.


ცხრაფეხა ძალიან გავს კიბოს და განსხვავდება მისგან მხოლოდ თავისი სხეულის მოყვანილობით. მისი სხეული ჩაჟულერილ ბურთს გავს, კუდი იმოკაუჭებული აქს მუცელთან, კიბოს-კი აქს გავიმული, შემდევ დასასახლებელია ურიცხვი ცხოველი, მაგრამ იმათ თქვენ შეისწავლით შემდევში. ერთ მათგანს თქვენ უკვე იცნობთ. ესაა ნესტის ჭია, რომელიც ხშირათ შეგხვდებათ ნესტიან და ბნელ იდგილებში ქვებს ქვეშ. ის არის ერთი ახირებული კიბომშაგვარი, რომელიც არ ცხოვრობს წყალში.

სანამ დავასრულებდე სახსროვანთა შესწავლას, მე თქვენ გეტუეთ რამდენიმე სიტყვას ჭიებზე. ჭიები გრძელ სხეულია. ნი ცხოველებია, მეტათ სხვა და სხვა ფერი მოყვანილობის. ზოგი ჭია სრულიათ ტიტველია, ზოგსაც აქს მეჩხერი ბალანი, როგორც მაგ., ჭიაყელას. ზოგიერთ ჭიას ეს ბალანი თვალსაჩინოთ გრძელი აქს და იღვილათ შენიშნავთ ზეზერეული დათვალიერებითაც. არის ისეთი ჭიებიც, რომელნიც იკეთებენ კირის მილს, სადაც ატარებენ მთელ თავის სიცოცხლეს. ჭიების ჯგუფს ეუთვანიან აგრეთვე მუცლის ჭიები და ბევრი

სხვა ცხოველები რომელნიც მეტათ სხვა და სხვა ნიმუში აფე-
ბულობისა არიან.

როგორც წინეთ ქსოვით, ხახსროვანთა შემდეგ ამის მო-
ლუსკები ანუ რბილსხეულიანები.

ჯერ მოვილაპარაკოთ იმათში ისეთების შესახებ, რომელ-
თაც აქვთ გრძელი ფეხები, ხშირათ მსხვერპლის დასპერ მი-
საკვრელით და რქის ნივთიერების ნისკარტი, რომელითაც ნა-
ნადირევს ჭამენ. ასეთია რვაფეხი ანუ სპრუტი და კარაკატიცა,



სპრუტი ანუ რვაფეხი.

რომელსაც სხეულში აქვს თავისებური რქის ნივთიერების ფირ-
ფიტა. ამ ფირფიტას შეცდომით ეძახიან ძვალს. ამ ფირფიტას
ხან დასდებენ კანარეკის გალიაში, რომ ჩიტა ზედ გაიწმინ-
დოს თავისი ნისკარტი. მავე ცხოველებს ყველონის კალმარი,
რომელიც ზოგჯერ მეტათ ვეებერთელა იზრდება, აგრეთვე
ატანავტი თვისი მეტათ სიფრიფანა და ნაზი ხამანწერით და
სხვ. ყველა ამ ცხოველებს შეუძლიათ გამოიცილონ თავის
სხეულიდან შავი სითხე, რომლის შემწეობით ამღვრევენ წყალს
თავის გარშემო და ამნაირათ გაუსხლტებიან მტერს. ამ სით-
ხიდან ამზადებენ სალებავს, რომელსაც ქვია სეპია. შემდეგ უნ-
და დავისახელოთ ერთ ხამანწერი რბილსხეულიანები, მათ
არ აქვთ ფეხები. ზღვაში ბევრია მათი მოდგმა. მათი ხამანწერი

შეტათ სხვა და სხვა მოყვანილობისაა და შშეენიერი ფერების. ზოგიერთი მათგანი ცხოვრობს ჩვენ მტკნარ წყლებში აშენებული გუბის ლოკურინა, ზოგიც შეგხვდებათ ხმელეთზე აშენებული სკრელთა შორის შეხვდებით სრულით სხვა და სხვა სისხლს ხამნიკებიან მოლუსკებს. ასე მაგ., ბალის ლოკურისას თვალსაჩინო ხამანწევა აქვს, უბრალო ლოკურისას აქვს მხოლოდ ხამანწევის ნასახი ფარის სახით, რომელიც წამოკიდებულია ზურგ-




ზურგლებრივი ლოკური.

ზე, რუხვ ლოკურის ხამნწევა კიდევ უფრო პატარა აქვს და დამალული კანს ქვეშ, წითელ ლოკურისას კი სრულიათ არ აქვს.

ყველა ამ რბილ-სხეულიანებს აქვთ თავი შეიარაღებული თვალებით და ფათუროთითებით. ოჩხამანწევიან რბილსხეულიანებს, რომელიც მხოლოდ წყალში ცხოვრობენ, ცალკე თავი სრულიათ არ

აქვთ. იმათ ეკუთვნიან: თხელია, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს მკვიდრა-თაა მიურული კლდეზე, ეგრეთ წოდებული საჭმელი ლოკურინა, ანუ მიღია, ქვის-მლრნელია, რომელიც ციცქის კლდეს, წმ. იაკობის ლოკურინა და ბევრი სხვა მოდგმინი, რომელთაგან ზოგი ცხოვრობს მტკნარ წყალში, ხოლო უმეტესობა ზღვის წყალში.



თ ლ ვ ი ს ვ ა რ ს კ ვ ა ლ დ ა ვ ი.


ბოლოს მიეაღწიეთ ცხოველ მცენარეებამდის ანუ ზონ-
ფიტებამდის, რომელნიც სულ ყველანი ცხოვრობდნ წყალში.
პირველი ადგილი მათ შორის ყოველ ეპის გარეშე უნდა დაუ-
თმოთ ზღვის ზღარბებს, ზღვის ვარსკვლავებს და გოლოტუ-
რიებს, რომლისაგან ამზადებენ ეგრეთ წოდებულ ტრეპანგებს.

შემდეგ დავასახელოთ მედუზა, რომელიც წარმოადგენს
ჩბილ-წებოსახებურ ცხოველს,
მოყვანილობით გავს სოკოს
და თავისუფლათ მოძრაობს
ზღვაში.

შემდეგ დავასახელოთ პო-
ლიპებს. ეს პატარი ცხოველე-
ბია, რომელნიც უმეტესათ
შეადგენენ ურიცხვ კოლო-
ნიებს და გამიცილებენ თავის
გარშემო კირის კანს. ზოგიერ-
თი მათი მოდგმანი მრავლე-
ბიან წყლის ქვეშ მოქცეულ
კლდეებზე ისეთი სისწრაფით,
რომ ააშენებენ წყლის ქვეშ
რიცებს და მთელ კუნძულებ-
საც რგვალი მოყვანილობისა.

მ ერთ უ ზ ა.

ასეთი კუნძულები ხშირია ავსტრალიის ახლო-მახლო.



პოლიპების გვერდით უნდა დავასახელოთ ზღვის ანგო-
ნები ანუ აკტინიები.

მიემართოთ ახლა გიდრებს, ამ
ახირებულ პატარა მტკნარი წყლის
ცხოველებს, რომელთა შესახებ მე
უკვე მქონდა საუბარი. თუ გახსოვთ,
გიდრა შეიძლება ნაწილებათ და-
კუწოთ და უკველი ნაქერისაგან
ახალი გიდრა გაიზრდება. მაშე გიდ-
რა უკველა ცხოველებში უფრო ცხო-
ველმყოფელია, რადგან ჭიაყელის გაქრა შეიძლება შუაზე, ლო-
ქორია წაიზრდის მოქრილ თავს ხელიქ-კი წაეზრდება მხო-
ლოდ კუდი.

ამავე ჯგუფს ეკუთვნის ღრუბლები, რომელთა შორის
არის ჩვენი ჩვეულებრივი ღრუბელი. ღრუბელი მეტათ სადა
ცხოველია, არაქვე არც თავი, არც კუდი, ანუ უკეთ ვთქვათ არა
აქვს განკურძოებული ორგანოები. ღრუბლები ემზავესებიან წე-
ბოს ცოტა თუ დიდ გროვას. ბევრ ღრუბელს ამ წებოსებურ
ნიერებაში უნვითარდება ურიცხვი კირის ან კაფის ფორ-
მისიანი ჩხირები, რომელნიც ხშირათ შეტათ წარმტაცი მოუყა-
ნილობის არიან და ათასნაირათ გადახლართვიან ერთმანეთს.
ცხოველებში ყველაზე უფრო დაბლა დგანან ინფუზორიები,
უპატარავესი ცხოველები, რომელთა შესანიშნავი მრავალფე-
რობა, ჩვენ უკვე გავიცანით მესამე საუბარში.

ჩვენ დავასრულეთ ცხოველთა სამეფოს მიმოხილვა. თქვენ
დაინახეთ, რომ მიუხედავათ სიძნეელისა ჩვენ მაინც შევსძელით
ცხოველთა ჯგუფებათ დანაწილება მათი ურთიერთი შეგავსე-
ბის მიხედვით. რომ სავსებით გაიგოთ ცხოველთა განაწილე-
ბის ანუ კლასიფიკაციის საფუძვლები, არაა საკმარისი მატო-
გარეგანი ნიშნების შესწავლა, როგორც მე აქმდი ვშვრებო-



ზღვის აკტინიები.



დი. ასეთ გარევან გამოკვლევას უნდა დაუმატოთ მათი შინა-
განი აგებულობის შესწავლა. მაგრამ ეს შეაღვენს განსაკუთ-
რებული მცნობების საგანს. ამ მცნოებებას ქვით ანატომია.
მას თვეუნ შემდეგში შეისწავლით.



సామాజిక విద్యల శాఖల పత్రికలు

“నాటారాణమ్”

→ సిరియాట్ ఎప్పిట్ →

అను రామయిన ఇం అంబురుల కవితాపత్రి.

ఒక్కశి ఉచ్ఛవి సామి బొగ్గించి: ఉచ్చి మించి వ్రింపించినింతాంగిసి ఇం
గ్రంతి మించినింపించినింగిసి

ప్రాణికంఠించి చూచిపెంచి ఇంపాతించి.

శుభ్రువులు శించింపులు నీటికి వ్రింపించిని శుభ్రువులు నీటి-
ల్పించిని.

ప్రాణికి గాన్యారింపేళు 1-లు గాన్యారింపు 1-లు గాన్యారింపు.

ప్రాణికి గాన్యారింపు గాన్యారింపు:

గ్రంతిల ఉచ్చి గామిప్రమి వ్రింపించిని 5 మిన., ప్రాణ్య-ప్రాణ్య సామి-సామి మిన.,
బెంగ్గారి వ్రింపించిని 2 మిన., 50 కాచ., ప్రాణ్య-ప్రాణ్య 1 మిన. 50 కాచ.,
సామి త్వాంత 1 మిన. 25 కాచ., త్వాంత 40 కాచ. ప్రాణ్య బెంగ్గారి ప్రించు వ్రింపించిని
త్వాంత 15 కాచ., మించినింపించిని 25 కాచ.

వ్రింపు స్కేలుకి శించించిని శ్రేష్ఠించిని ఒక్కశి ఉచ్చి మిన్యాల శ్రేష్ఠించిని.

వ్రింపు లోపించిని ఉచ్చించిని, క్రమానుక్రమిని ప్రించుప్రించి వ్రింపించిని సా-
క్షేత్రమే № 8.

అంతిమించిని గామిప్రమినించి వ్రింపించి స్వాధితాద లా గాంపుప్రించి శ్రుద్ధా న్యుస్
డాఫ్టుప్రించి.

వ్రింపు కిందించి, రామ్యార్థి వ్రింపు కిందించి వ్రింపు కిందించి వ్రింపు
కిందించి కిందించి, కిందించి కిందించి కిందించి.

హృదయప్రాణి విశ్వాసిల మించినించిని శ్రేష్ఠించి దిల్లిలు 10-దాన 1 బి-ఫ్రిం.

హృదయప్రాణి విశ్వాసి నుండి నుండి వ్రింపించిని.

ప్రాణికి ప్రాణి తాప. మాపించి నుండి నుండి వ్రింపించిని.